

K 36-047
2.

ଓଡ଼ିଆକୁଣ୍ଡଳ
ବାଲପାତରାଙ୍ଗ

ଖୁଦ ଜୀବନ,

ପାପିଲାଙ୍କ

K 36.047
2

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԶՈՒՅՈՒՆԻՒՅՑ



Xyros strobos



კულტურული

— მე
მიწას კანი



1968 ი 2

«ნაკადყენე»
• თ ა ი ლ ი ლ ი
1968

99.96.2.5



894.611.3—32

ა 998

7—3—3



ჯუმა ბესარიონის ძე ახუბა დაიბადა 1937 წელს. დაამთავრა მ. გორგის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი. მისი ლექ्सიგი და მოთხრობები ხშირად ქვეყნდება აფხაზეთის პერიოდულ პრესაში. 1962 წელს გამოიცა მისი წიგნი „გულწითელას სტუმრები“, 1964 წელს — „თავსხმა“, 1967 წელს — „ომი ჟავა დამთავრებული იყო“. სოხუმის აფხაზურმა დრამატულმა თეატრმა დადგა მისი პიესა — „მონანიება“.

კ. ახუბას ნაწარმოებები იძეჭდება საკაგ-შირო ქურნალებში: „მოლოდაია გვარდია“, „შევზდა“, „რაბოტნიცა“ და სხვ.

63.33.

1642.

- 13 -

თ თ უ ღ ა ნ ი

Ó ს დატყვევებული მოიყვანეს ტყიდან და იმავე დღეს სახელად თოუღანი შეარქვეს. სახელი ჯაჭვივით ამძიმებდა, იმ ჯაჭვივით, კისერზე რომ ება. შეიძლება თოუღანი არც ისე ცუდად ჟღერს, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ძაღლის სახელია. ეძახდნენ: თოუღან, და უსიამოვნოდ ცახცახებდა — ეგონა ძაღლის შვილს მეძახიანო.

ვერ იტანდა მხეცის გული ადამიანის შემოხედვას: დაცუინვით უყურებლნენ ადამიანები, ხედავდა, როგორ ქირქილებდნენ, როდესაც რკინის გალიით მოაბრძანეს. ახლაც, გააფირებული ჯაჭვს ღრღნის, თავისუფლებას ესწრაფვის, ადამიანები კი იცინიან. რა ქნას?! გაწყვიტოს ჯაჭვი? — ძალა არ ჰყოფნის.

ბევრი იფიქრა. ორი გზა ჩანდა: ან შიმშილით მომკვდარიყო, ან ბედს დამორჩილებოდა.

გადაწყდა! უმოქმედოდ, უღონოდ სიკვდილს სკობს



წამოიზარდოს, ძალა მოიკრიბოს და მერე ვნაშრობოდა დაიწყო. ნანობდა, სამი დღე, პირი რომ არაფერს დააკარა. ნთქავდა უცელაფერს, რასაც აძლევდნენ და რამდენსაც აძლევდნენ. უნდოდა მალე გაზრდილიყო, მალე გამაგრებოდა მუხლი.

მალე ისე მოლონიერდა, ჯაჭვის გაწყვეტა შეეძლო, მაგრამ არ დასჭირვებია. იგი ახსნეს, ახსნეს სრულიად მოულოდნელად. სხვას რომ აეხსნა ჯაჭვი კიდევ ჰო, მაგრამ იმან ახსნა, ვინც შეაბა. იდგა ის კაცი და იღიმებოდა, თითქოს დიდი საქმე გაეკეთებინოს.

თოუღანმა კისერი მიაბრუნ-მოაბრუნა. ჯაჭვი აღარ ჯღრიალებდა, მიმოიხედა. ნიავმა ტყის სურნელება მოიტანა; სული მოითქვა, ერთი გაიზმორა, კისერი წაიგრძელა და ღრმად ჩაისუნთქა. ეზოს ბოლოში მობალახე ცხვარი აბლავლდა, სარქენად გამოქანდა მისკენ. თოუღანმა განმგმირავად შეავლო თვალი და ადამიანს მოხედა. კაცი ისევ კმაყოფილი იღიმებოდა, ჯაჭვს ხელში ათამაშებდა.

ძალის ყეფასავით ჩაესმა თოუღანს ჯაჭვის ეღარუნი.

ჩაცუცქდა, ფეხით კისერი მოიფხანა და ღობისკენ წავიდა.

— თოუღან, თოუღან! — დაუძახა ადამიანმა.

ძახილზე ბოლმამ ამოხეთქა. კიდევ ერთხელ გაახსენდა, რომ პატრონს ის ძალი, ლაქუცა ცხოველი ჰგონია. აგერ, ჭიშკართან, ერთ-ერთი მათგანი დგას. დგას და ადამიანის ბრძანებას ელოდება. თოუღანი ღობისაკენ წავიდა, თითქოს ძახილი არც გაუგონია.

— თოუღან!

შეჩერდა. ყურადღებით მიმოიხედა. წნულ ღობების გადაცემის დროის დროის ტყე მოჩანდა.—ეპ, ერთი ფეხი მაინც დამაკვრული იყო. თვალისდახამხამებაში გადაევლო ღობეს.

— ეცი! — გაისმა გასროლასავით.

გონს რომ მოეგო, ძველებურად ება, მხოლოდ უწინ-დელზე უფრო მსხვილი ჯაჭვი ეყეთა. ძლივს გაიხსენა, როგორ მიირბინა ტყემდე. ცოტაც და, დადევნებულ ძაღლს ყელს გამოღადრავდა.

ამ დღის მერე იშიმშილა ორ, სამ, მოკლედ იმდენ დღეს, რამდენსაც შეძლო. ყველაზე მეტად მონადირის ხელი აღი-ზიანებდა. ადამიანი იმ ხელით ეფერებოდა, დედა რომ მო-უკლა და ტყვედ აქცია. როგორც კი დრო იხელთა, უკბინა ამ ხელს. ადამიანმა მათრახი მოუქნია. თოუღანი ბეჭვაშ-ლილი ელოდა დარტყმას, ტანი უცახცახებდა. მაგრამ პატ-რონმა არ დაარტყა. მეორე დღეს იმავე ხელს კვლავ უსვამდა თავზე.

ოღონდ ეგ იყო ძაღლთან ერთად აჭმევდა. თოუღანს ძაღლის სუნი გულს ურევდა — ბალანი ქეჩოზე ეძაგრებოდა. ძაღლი კი ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო.

გადიოდა დღეები. მგლის ლევე შესამჩნევად გაიზარდა და მომაგრდა. მკერდი გაუფართოვდა, კისერი გაუმსხვილდა.

ძაღლი ღამე სახლს დარაჯობდა, დღისით კი პატრონთან ერთად სანადიროდ მიდიოდა. ჯაჭვშებმული თოუღანი შინ რჩებოდა. უნდოდა აეწია თავი, ეყმუვლა, მაგრამ არც ყმუოდა და არც ყეფდა.

ერთ ღამეს მშობლიური ხმა მოესმა. ჭამოხტა, სმენად იქცა. ხმა ტყიდან მოდიოდა. თოუღანმა ჯაჭვი მოქაჩა,



ჩაგრამ გასაწყვეტილ ძალა არ ეყო. უმუილი კი ტურქული ტყისკენ უხმობდა. თოუღანი კბენდა, ქაჩავდა ჯაჭვეს. როცა თავის უღონობაში დარწმუნდა, ისე აყმუვლდა, თითქოს ივედრებოდა — „მიშველეთ, ძმებო!“ რომელიღაც ძაღლმა შეჰყეფა. მას მთელი დაბის ძაღლები აჰყვნენ. სადღაც ადამიანმა ღაუსტვინა. ისროლეს. ტყეში ყმუიღი შეწყდა.

მაგრამ მეორე საღამოს ყმუიღი უფრო ახლო მანძილიდან გაისმა. თოუღანშა უპასუხა.

მესამე ღამეს მგლები ჭიშკარს მიადგნენ. ამის შემდევ ისინი ყოველ ღამე მოდიოდნენ ჭიშკართან. ნადირობიდან დაბრუნებული ძაღლი თოუღანის შორიახლოს წვებოდა. გადიოდა დრო. მგელს სულ უფრო ნაკლებად აღიზიანებდა ძაღლის სუნი.

ჯაჭვი ისევ ეკეთა, ოღონდ ეს იყო, პატრონს ხანდახან ტყეში მიპყავდა. მართალია, პატრონი ჯაჭვს ხელიდან არ უშევდა, მაგრამ სულ ხუხულასთან ჯდომას მაინც ასე სკობდა.

ერთხელ ისინი ღრმად შევიდნენ უღრან ტყეში. ძაღლიც მათთან იყო. თოუღანი ხარბად ყნოსაგდა ჰაერს. უცებ ნაცნობი სუნი იკრა. გაუხარდა, ჯაჭვი მოქაჩა. ძაღლმაც მოირბინა, კვალი დასუნა და შეჰყეფა. მონადირემ სწრაფად გადმოიღო თოფი მხრიდან, მაგრამ თოუღანს მისთვის არ ეცალა. მგლებს კვალში ჩასდგომოდა. ჯაჭვი იჭიმებოდა, თოუღანს უნდოდა იგი ადამიანისათვის ხელიდან გამოეგლიკა.

უცბად ადამიანმა თვითონ შეხსნა კისერზე ჯაჭვი და შეხსნა არა სადღაც, არამედ უსიერ ტყეში. ძნელია ირწმუ-

წო ასეთი ბედნიერება! ახლა საითაც არ უნდა წახვილებული ცველგან ტყეა!

შეცბუნებული ტრიალებდა მონადირის გარშემო. მონადირემ ხელი გადაუსვა თავზე. თოუღანი წინ გაიჭრა. კვალს ჩუმად მიჰყვებოდა. ძაღლი დაეწია, თან ხმამაღლა, წვრილი ხმით ყეფდა. დაე, სდიოს, ერთი თავისიანებს დაეწიოს და მაშინ გაუსწორდება ამ ძაღლს! აი, სულ ახლოს... სულ უფრო მკვეთრად სცემს მშობლიური სუნი. აქამდე ჩამკვდარმა მხეცურმა სისხლმა გაიღვიძა მასში. ხშირ ბარდებში შევარდა, მაგრამ იქიდან გამოხტა ჯერ ერთი მგელი, მერე მეორე, მესამე... მისი მოდგმის, მისი სისხლისა და ხორცისანი! რა ბედნიერება! იმისათვის, რომ მათ დაბრუნებოდა, თოუღანი დღე და ღამე ჯაჭვს ღრღნიდა, იბრძოდა. მგლებთან მიირბინა. ისინიც გარს შემოერტყნენ. ყეფით მომავალი ძაღლი ახლოვდებოდა. ერთ-ერთმა მგელმა იგრძნო რაღაც უკეთური, მივიდა თოუღანთან, დაყნოსა და სწრაფად მოშორდა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს. თოუღანი ვერაფერს მიხვდა და მგლებს გამოუდგა. ძაღლი თოუღანს მიჰყვებოდა, დაე, სდიოს, თავისი ძმების დასანახად გამოღადრავს ყელს. თუ მარტო ვერ მოერევა, თანამოძმენი დაეხმარებიან. მგლებმა იგრძნეს, რომ ძაღლი არ შორდებოდათ, შეჩერდნენ. ერთი მგელი თოუღანისაკენ გაემართა. გული სიხარულით აუძგერდა თოუღანს. მაგრამ რატომ მოდის მგელი ასეთი ავი, ასეთი ულმობელი, მრისხანე გამომეტყველებით? მგელი მიუახლოვდა და ის იყო ყელში უნდა სცემოდა, რომ სროლა გაისმა. მგელი დაეცა. კიდევ გაისმა თოფის ხმა. მეორე, დაჭრილი მგელი ბარდნარს შეერია. სულთმობრძავი მგელი იკრუნჩებოდა.

თოუღანმა მიირბინა მასთან. მგელმა გაშირვებით წა-
მოიწია წინა თათებზე და შეეცადა შებრძოლებადან
როგორ უნდოდა თოუღანს მოძმისათვის ჭრილობა აელო-
კა, ტანჯვა შეემსუბუქებინა. ეინ იცის, იქნებ მშობელი მა-
მაც იყო მისი... მგელს სიკვდილი არ უნდოდა. კიდევ ეს-
როლეს, მგელმა წამოიწია და დავარდა. თოუღანი გარ-
შემო უვლიდა მიწაზე გართხმულ მგელს და არ იცოდა,
რა ექნა. მიხვდა, რომ რაღაც გამოუსწორებელი დანაშაუ-
ლი ჩაიდინა. მაგრამ როდის და რა? ფიქრები ადამიანმა
გააწყვეტინა. კვლავ გაჩხაკუნდა მის კისერზე საკეტი.

ისევ ის კედელი, ისევ ჯაჭვის უღარუნი, მაგრამ ახლა
უკვე აღარ კენდა და აღარ ქაჩავდა ჯაჭვს. დაღლილ
ძაღლს ეძინა. მძიმე, უკუნი ღამე მიიზღაზნებოდა. თოუღა-
ნი სმერადცეცული იდგა. ყოველ საღამოს ნაცნობ ყმუილს
ელოდა. მაგრამ, არც იმ ღამეს და არც შემდგომ, მგლის
ყმუილი აღარ განმეორებულა. თოუღანი თვალს ვერ აშო-
რებდა კედელს, რომელზედაც მოკლული მგლის ტყავი გა-
ეჭიმათ. ეს ტყავი იმ მგლისა იყო, იმ ბედუკუღმართ დღეს
რომ მოკლეს; იმ მგლისა, ტყიდან პირველი რომ გამოეხმა-
ურა თოუღანს.

გაიხსენა ჟველაფერი, რაც თავს გადახდა. რაც უფრო
ჩეტს ფიქრობდა, მით უფრო ნათლად ესმოდა, რა სისა-
ძაგლე ჩაადენინა ადამიანმა. ყმუილი მაინც გაიგოს! ამაოდ
ელოდა... პქრნდა კი უფლება ეპასუხა? ერთ დილას პატ-
რონმა კისერზე ხელი გადაუსვა და ჯაჭვი შეხსნა. თოუღა-
ნი საღამომდე ეზოდან არ გამოსულა. გარეგნულად დამ-
შვიდებული ჩანდა, მაგრამ მთელი არსებით ელოდა დაღა-
მებას. რაც უფრო მეტად ჩადიოდა მზე, მით უფრო ახლოს



ეგონა ტყე. იცოდა, ადამიანი ტყუილუბრალოდ უწერს შეკვებულება. მაგრამ რაც უნდა, ის იფიქროს ადამიანმა, შემისახურებას სულ ერთია, მთავარია, რომ კისერზე ჯაჭვი აღარა აქვს. ერთი დაღამდეს და მერე მის კვალსაც ვეღარ იპოვიან.

თოუღანი ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. მონადირე ჩუ-
მად მისჩერებოდა. რამდენჯერაც მივიდა ჭიშკართან, იმ-
დენჯერვე უკან დაბრუნდა. უნდოდა ეჭვები გაეფანტა. მზე
ჩავიდა. დაბინდებას ელოდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა, მი-
ვიდა ჭიშკართან, თან ცალი თვალით პატრონს გახედა.
ადამიანი ისე მშვიდად წმენდდა თოფს, თითქოს მისი არ-
სებობაც არ ახსოვსო. ნახტომი... და ჭიშკარს გადაღმაა.
თოუღანი ელოდა დაძახებას ან სროლას, მაგრამ ირგვლივ
სიჩუმე იყო. მოიხედა. დოინჯშემოყრილი მონადირე შუა
ეზოში იდგა და იღიმებოდა. გვერდით ძაღლი ედგა. რა
მოხდა? იქნებ ადამიანი დანაშაულს ინანიებს?



მეორე დღეს მონადირე სანადიროდ არ წასულა, დაზ-
შვიდებული ჩანდა. მხოლოდ ძაღლი იყო აფორიაქებული:
ყველაფერს ყნოსავდა, თოუღანის ხუხულასთან მიდიოდა
და იღრინებოდა. მონადირემ მგლის სადგომში თივა გა-
მოცვალა. მან იცოდა მგლების კანონი.

ასეც მოხდა.

მესამე დღეს სახლთან გაურკვეველი, ძაღლის ყეფის
თუ მგლის ყმუილის მსგავსი ხმა გაისმა. ძაღლი სიხარუ-
ლით მიეგება თოუღანს. შინ ერთად დაბრუნდნენ. ჩუმად
უყურებდა მათ მონადირე. ძაღლი ბზრიალებდა, ეთამაშე-



ბოდა თოუღანს. მგელი ძლივს იდგა ფეხზე. კოჭლობრთა ჭრა
ემართა თავისი სადგომისაკენ და შიგ შეძვრა. კაცი შეჩერა-
ლოვდა და მოეფერა. თოუღანს კისერი და სახე მთლად
დაკბენილი, დასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ ხმას არ
იღებდა.

— თოუღან! თოუღან! — ალერსით აყრიდა ჭრილობა-
ზე წამალს პატრონი.

წამალმა ტკივილები გაუყუჩა. თავი ასწია. მგლის
თვალები ადამიანის თვალებს შეხვდა. თოუღანმა პირვე-
რად შეხედა თვალებში ადამიანს. ნუგეში და სიკეთე ჩან-
და იმ თვალებში.

— თოუღან! თოუღან! — ეფერებოდა პატრონი. თო-
უღანმა კაცს ხელი გაულოკა.

ამ დღიდან ყველაფერი შეიცვალა.

კარგად, მაძღრად აჭმევდა პატრონი. ჭრილობები თან-
დათან მოუშუშდა. ნეტავ მალე შეუხორცდებოდეს!

პირველად გამოვიდა ეზოდან პატრონთან ერთად უჯა-
შვოდ. მხარზე თოფით, წელზე ფალასკით მიაბიჯებდა ადა-
მიანი ტყეში. ძალმა იცოდა, რატომაც მიღიოდნენ და სი-
ამოვნებისაგან კუდს აქიცინებდა.

სადილობამდე იარეს, ერთ ხეობას მიადგნენ. ტყე გახ-
შირდა. თოუღანი და ძალლი კვალს ეძებდნენ. მონადირე
მშვიდად ადევნებდა თვალყურს. აი, გაისმა ძალლის ყეფაც.
თოუღანს თვალები აენთო, — მგლის კვალს წააწყდა! თან
წაიყოლა ძალლი და ადამიანი, მაგრამ იმედის ნაპერწკა-
ლი კიდევ უღვიოდა გულში, იქნებ მიიღონ? რა თქმა უნ-
და, მათთან წავა. მგლები ახლოს არიან. უნდოდა დაეყ-
მუცლა, მაგრამ მგლები ხმაზე იცნობდნენ. უნდოდა დაეყ-



ფა, მაგრამ მაშინ პატრონს ვერ აამებდა. მიდიოდა წევმაჲუნდა
ირგვლივ ყველაფერს ყნოსავდა. აი ისინიც—მგლები! ერთ-
მა მგელმა დაინახა თოუღანი და აუჩქარებლად გაბრუნდა.
რაღაცა გახმაურდა. თოუღანმა მოიხედა. ზურგს უკან მგე-
ლი აეტუზა. პირველად შემოხვედრილი მგელი ნელ-ნელა
იხევდა უკან, ცდილობდა ძაღლი და თოუღანი გაეტყუები-
ნა, ადევნებული მგელი კი ლანდივით ხან გაუჩინარდებო-
და, ხან გამოჩნდებოდა ხოლმე.

ღრმა ხეობაში შევიდნენ თუ არა, ძუნძულით მიმავალი
მგელი შემობრუნდა და მათკენ გამოექანა. ძაღლმა და თო-
უღანმა პირი იბრუნეს, მაგრამ წინ მეორე მგელი გადაუდ-
გათ. ალყაში მოექცნენ. ერთი მგელი თოუღანს დაეღირა.
„იქნებ!“ — გაუელვა თოუღანს... მაგრამ მგელი გააღმა-
სებული ჩააფრინდა კისერში. შეიბნენ. ორთავეს მგლის ეშ-
ვები, მგლის მუხლი პქონდა. მიწაზე გაგორდნენ. თოუღანს
ძაღლის წკავწკავი შეესმა, დაუსხლტა მგელს და მის საშ-
ველად გაქანდა. ძაღლს მგლები დასეოდნენ. ერთიმეორის
მიყოლებით გაისმა ორი გასროლა... ყველაფერი ერთმა-
ნეთში აირია...

ძაღლი სისხლში ცურავდა. თოუღანი გარშემო უტრი-
ალებდა. მონადირემაც მოირბინა. ძაღლმა ძლივს გაახილა
ჩაასისხლიანებული თვალები, უკანასკნელად შეხედა პატ-
რონს, შემდეგ თოუღანს, თითქოს ეუბნებოდა „ჩვენს პატ-
რონს გაუფრთხილდიო“.

ეჭვი აღარ იყო, თავისი მოდგმისაკენ გზა სამუდამოდ მოჭრილი ჰქონდა. ერთი წუთით აღარ შორდებოდა ადამიანს. რაც უფრო ეჩვეოდა პატრონს, უფრო მეტად უყვარდა იგი. თუ კაცი სადმე წავიდოდა და თან არ წაიყვანდა, მოუთმენლად ელოდა, აღარ იცოდა, რა ექნა. და მაინც არ უყვარდა, როცა ადამიანი თავზე ხელს უსვამდა.

ზამთრის ერთ ღამეს სანადიროდ წავიდნენ. მოვარე დაპნათოდა ტყეს, ყინავდა, ცივი ქარი ქროდა. ტყის სიღრმეში, იქ, სადაც ბილიები ერთმანეთს ჰკვეთდნენ, ადამიანი შედგა, მხრიდან თოფი ჩამოილო, ქამარზე მიიბა და ხეზე ავიდა. ტყეში სიჩუმეს დაესადგურებინა. თოუღანმა იფიქრა, ღამეს აქ გავათევთო, და ხის ძირას ჩამოჯდა. სიჩუმეში თითქოს შორიდან მოისმა ყმუილი. თოუღანი წამოხტა. იქნებ ის მგლები არიან, წინათ რომ ეხმაურებოდნენ ხოლმე? იქნებ თავისთან უხმობენ? ყმუილი განმეორდა. თოუღანი უსმენდა და ვერ ხვდებოდა საიდან მოდიოდა ხმა. მიირბინა ხესთან, უკანა თათებზე შედგა, წინა ხეს მიაბჯინა და მიხვდა — ყმუილი ზემოდან ისმოდა.

მგლივით ყმუოდა ადამიანი. ყმუილმა წარსული გაახსენა თოუღანს. გაახსენა პირველი გასროლა, დედა რომ მოუკლა. გაახსენდა, როგორ კვდებოდა დედა და როგორ დასტიროდა მას თოუღანი, როგორ მოემწყვდა ამ დროს ბადეში. ბევრი იბრძოლა, იბორგა, მაგრამ ძალა აღარ ციო და მერე... მერე გალიაც დაიკეტა. შემდეგ — ჯაჭვი, შემდეგ ღამით მგლების ძახილი, შემდეგ კი...

თითონაც ვერ შენიშნა, ისე ასწია თოუღანმა თავი და, თითქოს თავის ცხოვრებას დასტირისო, პირიდან საცოდა-

ვი ხმა ამოუშვა, მერე კი აყმუვლდა, აყმუვლდა ხმამაღლებმა გაბმულად, როგორც მამალმა მგლებმა იციან.

ადამიანი გაჩუმდა, თოუღანი კი ყმუოდა. რაც უფრა: ხმამაღლა ყმუოდა, მით უფრო მეტად ისადგურებდა მასში სევდა, თავისი მოდგმისაკენ ლტოლვა. შორიდან ხმა მოესმა. ეს მგლის ყმუილი იყო.

მგლის სისხლი აყივლდა მასში, დაავიწყდა ადამიანი და მოძმის შესახვედრად გაეშურა. მათმა ანთებულმა თვალებმა სიბნელე ელვასასვით გაკვესა. თოუღანი სევდიანი ყმუილით გაეშურა მისკენ. მაგრამ ვერც კი მოასწრეს ერთმანეთი დაეცნოსათ, თოფი გავარდა. მგელი თოუღანის თვალწინ დაეცა.

ადამიანი და თოუღანი დღე აღარ გადიოდნენ სახლიდან. ნადირობიდან განთიადისას ბრუნდებოდნენ. მომრავლდა ტყავი სახლის კედლებზე. დღე ისვენებდნენ, რათა ღონე მოეკრიბათ და საღამოს სანადიროდ წასულიყვნენ.

ადამიანი ხან ხეზე ადიოდა, ხან ბუჩქებში იმაღებოდა, თოუღანმა კი უკვე იცოდა, როგორ გამოეტყუბინა მგლები.

სახლსაც ძაღლივით ყარაულობდა. შინაურებზე ეჭვიანობდა. განსაკუთრებით კი პატრონზე. არც ერთ ძაღლს არ აკარებდა სიახლოვეს. პატრონს ხელს რომ ჩამოართმევდნენ, თოუღანი კბილებს კრეჭდა. უიმისოდ ეზოდან პატრონი ვერ გავიდოდა. ჯაჭვი კი სულ გადაავიწყდა, წარსულის მოსაგონებლადღა ეგდო ხუხულასთან.

ერთხელ პატრონმა დაუძახა და კისერზე ჯაჭვი შეაბა. თოუღანმა იფიქრა, ადამიანი ბავშვობას მახსენებს და მე-

ხუმრებაო. მაგრამ საკეტი ყოველგვარი ხუმრობის გარეშე გაჩხაკუნდა. თოუღანი ვერ მიხვდა, სად მიპყავჭავა დამუდა დნენ არა მთებისაკენ, არა ტყისაკენ, არამედ დაბლობისაკენ. საშინელი ხმაური მოესმათ. წინ კენჭებით მოკირწყლული გზა მიიკლაკნებოდა. გზაზე ერთი ლერი ბალახიც კი არა ხარობდა. ამ სიგანე გზა თოუღანს არასდროს ენახა. საშინელი ხმაური თანდათან გაძლიერდა. ძაგძავით და გრიალით რაღაც ურჩხული მოიწევდა მათკენ. ამხელა არც მხეცი, არც კამეჩი არ უნახავს თოუღანს. თოუღანმა გაიწია, თითქოს პატრონს სთხოვდა, გამიშვიო. საზარელი ურჩხული გაუსწორდა მათ და გაჩერდა. პატრონმა ალიკაპი ამოიღო ჯიბიდან და პირზე ჩამოაცვა თოუღანს.

მთელი გზა მგელი დროს ეძებდა მანქანიდან გადმოსახტომად. გვერდით მიპეროდნენ მშობლიური ტყეუები...

საითაც გაიხედავ, ყველგან სახლებია, თანაც რამსიმაღლე სახლები. ერთ ბუჩქსაც ვერ იპოვი, რომ დაიმალო. ყველგან ხალხია. თოუღანი კბილებს აღრჭიალებდა, ჯაჭვს ებრძოდა და თან პატრონს გაოცებული შეჰყურებდა: აქ რა გვინდაო?..

ძაღლების ყეფა მოესმა. ძაღლები არ უყვარდა, მაგრამ ადამიანთა ხმაურს ისევ ძაღლების ყეფა ერჩია.

მინდორზე გავიდნენ. იქაურობა მონადირე ძაღლებით იყო სავსე. ამდენი ცხვარიც კი არ ენახა ერთად თოუღანს. ცრთ რიგში იდგნენ ძაღლები, რომლებიც თოუღანს მუხლამდე სწვდებოდნენ. მეორე რიგში — ოდნავ მოზრდილები; აქვე იყვნენ გრძელბეწვიანი. მასავით ყურწამახული ძაღლებიც ყოველი ძაღლი ჯაჭვით ეჭირა გვერდით



მდგომ პატრონს. თოულანმა თავი ასწია, მაგიდა კაცი შემისაგან შეჰყვირა. მისი პატრონი და ის კაცი წაკამათდნენ. მგელი მოუთმენლად ელოდა ბრძანებას, მზად იყო სცემოდა მოკამათეს, მაგრამ პატრონმა ხელი ჩაიქნია და იმ კაცს მოშორდა.


მიუახლოვდნენ რიგს, სადაც თოულანისნაირი ძაღლები იდგნენ და მაინც სიდიდით და ღონით იგი ისე გამოირჩეოდა ძაღლებისაგან, როგორც მგელი მელიებისაგან. ერთ ძაღლი მიუახლოვდა თოულანს, სუნი იქრა და შეჰყეფა. სხვა ძაღლებიც აჰყვნენ. ეს კია, მგლის შემოხედვაზე განზე იწევდნენ. მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ თოულანს ისეთები უყევდნენ, ცალი თათით რომ შეეძლო გაესრისა. როგორც პატარა ჩიტები დაერევიან ხოლმე დღისით შემთხვევით გამოჩენილ ბუს, ისე დაესიენ ძაღლები თოულანს. მაგიდასთან მჯდომი კაცი მათთან მივიდა და დაუწყო პატრონს ჩხუბი. პატრონი ისე ბრაზობდა, თითქოს თოვს ემტყუნოს მისთვის. რაღაცას ეკითხებოდნენ, ის კი არ პასუხობდა. ალბათ აინტერესებდათ, ვინ არის მისი დედა? მამა? რა მოდგმისაა თოულანი?

წავიდნენ. თოულანსაც ეს უნდოდა.

დაბრუნდნენ თუ არა შინ, იმავე ღამეს წავიდნენ ტყეუში. ასეთი სიხარულით არასოდეს უნადირია მგელს.

თითქოს უნდოდა პატრონისათვის ესიამოვნებინა, რომ მას არასოდეს წაეყვანა ძაღლების პაზრობაზე. ამის შემდეგ მრავალმა იღბლიანმა ღამემ ჩაიარა.

დაბინდებისას თოულანი ჩვეულებისამებრ პატრონის გარშემო იწყებდა ტრიალს. მერე სანადიროდ მიდიოდნენ. მაგრამ ერთ ღამეს სახლში დარჩნენ. თოულანმა მიზეზი არ



იცოდა. მთვარიანი ღამე იყო, ნადირობისთვის ყველაზე შესაფერისი დრო. იცოდა, პატრონს ასეთი ღამეების უყვალადა, მაგრამ რატომღაც ეზოში არ გამოსულა. უფრო საოცარი ის იყო, რომ მის მოსაფერებლადაც არ გამოჩენილა. მხოლოდ საძულველმა დიასახლისმა გამოიხედა, პური გადმოუგდო და კარი მიხურა.

გულმა რაღაც ცუდი უგრძნო. მიუახლოვდა სახლის კარს და ფხაჭნა დაუწყო. დიასახლისმა ყვირილით გამოაგდო. „თუ არ უნდა, ნუ ინადირებს, მაგრამ რატომ არ გამოდის გარეთ? ნუთუ არ იცის, რომ მგელს ისეთივე ძალით შეუძლია სიყვარული, როგორი ძალითაც სიძულვილი იცის. ეს სიძულვილი ხომ ადამიანმა გაალხო!“ სევდით აევსო გული, თავი ასწია და საცოდავად, სევდიანად აყმუვლდა. არასოდეს არ უყმუვლია ასე. იდგა და სახლს შეყმუდა, მაგრამ ეს არ ჰგავდა იმ ყმუილს, რომლითაც მგლებს უხმობდა.

დიასახლისი ჯოხით ხელში გამოვარდა.

— ლიშკენტარსაც¹ წაუღიხარ! — დაუყვირა დიასახლისმა და ჯოხი ესროლა.

თოუღანმა ყმუილი შეწყვიტა და მთელი ღამე ჩუმი წკმუტუნით უვლიდა ეზოს. მეორე დილას, დიასახლისი თოუღანმა გამოვიდა თუ არა, დრო იხელთა და ოთახში შევარდა.

— თოუღან! თოუღან! მოდი, მოდი, ჩემთან! — უღონო ხმით დაუძახა პატრონმა.

სიხარულით მივარდა საწოლთან. წინა თათები ლოგინ-

1 ნადირთა ღმერთი.



ზე შეაწყო და თავი პატრონს მკერდზე მიადო. ადამიანმა ხელი მოჰვეია მის სქელ, ბალნიან კისერს. თოუღანმა მუშაონული რა კედელზე ჩამოკიდებულ თოფზე გადაიტანა. მიირბინა თოფთან და კონდახი ალოკა.

— თოუღან! — ადამიანმა ხელი გაუწოდა. თოუღანი საწოლთან ჩაცუცქდა. კაცი თავზე ხელს უსვამდა. თუ აქამ-დე ვერ იტანდა მოფერებას, ახლა, პირიქით, თვითონ უშ-ვერდა თავს და გრძნობდა, თანდათან როგორ ელეოდა პატრონს ძალა ხელში. პატრონს ხელი უღონოდ ჩამოუ-ვარდა. თოუღანმა სახე გაშლილ ხელის გულს დაადო. ხე-ლი ნელ-ნელა ცივდებოდა, თითები ეკრუნჩებოდა. პატ-რონმა ერთი გაიბრძოლა და გათავდა. თოუღანმა ისევ და-ადო თავი ხელისგულს. ხელს თანდათან ეკარგებოდა სი-თბო.

●

მდინარე კოდორის სათავესთან თვალწარმტაცი მდე-ლოა. შემაღლებული ადგილიდან მარცხნივ ბრჭყვიალა ზღვა მოჩანს, მარჯვნივ — თეთრყაბალახიანი მთები. ზაფ-ხულში, თაკარა სიცხეში, აქ ზღვიდან და მდინარიდან მო-ნაბერი გრილი ნიავი ქრის. ნიავი ყვავილებს ელამუნება და მთებისაკენ მინავარდობს. უხსოვარ დროში აქ ციხე-სიმაგრეს აგებდნენ — დღესაც ჩანს ნაგრევები. როგორც ამბობენ, ბევრჯერ დაიწყეს მისი შენება, მაგრამ ამაოდ. კედლები ყოველთვის ინგრეოდა. მას თურმე „მიწას მიბა-რებული მიცვალებულის სულები“ ანგრევდნენ. ამიტომ ციხე-სიმაგრე სხვა ადგილას ააგეს, მდელო კი მიცვალებუ-ლებს დაუტოვეს.

და აი, მასზე ახალი ბორცვი გაჩნდა. აქ განთქმული
შონადირე კაბცა კესოუ განისვენებს. იმ დღიდან მან
მხარზე თოფი გაიდო, სოფელში გომურებს აღარ კეტავდ-
ნენ.

საფლავზე მოტანილი ყვავილები დაჭკნა. უკვე იშვი-
ათად ნახავდით იქ ადამიანებს, მაგრამ ყოველ ღამეს შეგ-
ხვდებოდათ რუხი, მგლისფერი ძაღლი. არავის მწუხარე-
ბას არ შეედრებოდა მისი მწუხარება. ადამიანებმა დაკარ-
გეს ახლობელი, მაგრამ შერჩათ ამხანაგები, მეგობრები,
ნათესავები. თოუღანს კი მხოლოდ ის ჰყავდა ქვეყანაზე.
მიდიოდა თოუღანი და ტიროდა მონადირეს. მერე კი და-
ემხობოდა პატრონის საფლავს და მიწას ჩაჰყოდა.

ზოგი გამვლელი არ აჩერებდა სამარესთან, ზოგი ლუკ-
მა პურსაც გადაუგდებდა ხოლმე. ხოლო შუალამისას, რო-
ცა სოფელს მშვიდად ეძინა, მისი ყმუილი ეფინებოდა არე-
მარეს.

ერთხელ დიასახლისს თოუღანის კვნესა მოესმა. გა-
რეთ გამოვიდა. ეზოში დაჩერებული, დაკბენილი თოუღანი
იდგა. მგლების კბილების და ბრჭყალების ნაკვალევი აჩნ-
და ტანზე. არის ასეთი თქმულება: მონადირის სიკვდილის
შემდეგ მგლები მიდიან მის საფლავზე, ამოთხრიან, აპინ-
ძურებენ და ისე ტოვებენო. ვისაც ეს თქმულება სწამდა,
ამბობდა, თოუღანმა, თავისი პატრონის საფლავი რომ არ
წაებილწათ, სისხლი დაღვარაო. დიასახლისს შეეცოდა და
საჭმელი აჭამა. თოუღანი საღამომდე იჯდა თავის ხუხუ-
ლასთან. დაღამდა და წავიდა. ყოველ ჭიშკართან მიდი-
ოდა. ძაღლებს იწვევდა, მაგრამ ძაღლები უყუფდნენ და
ლრენით მიიწევდნენ მასზე.

დაბრუნდა უკან. შეჩერდა თავის ჭიშვიართან. საშოთა მუნიციპალიტეტის მინისტრი გადაღმა მოჩანდა მისი ხუსულა, დაქანგული ჯაჭვი, წარსულს რომ ახ-სენებდა. ისევ კიდელზე იყო გაკრული უკანასკნელად მოკრული მგლის ტყავი. ყველაზე მეტად გულს უკლავდა მომაცვდავი პატრონის ციფი ხელების მოგონება. ოპ, რად არ შეეძლო თოუღანს ამ ხელებისთვის დაებრუნებინა წინან-დელი სითბო და ძალა! დიასახლისმა თვალი მოჰკრა, დაუ-ძახა. მაგრამ თოუღანს ყურადღებაც არ მიუქმევია ქალი-სათვის. ერთხელ კიდევ მოათვალიერა მთელი ეზო. მოშორ-და იქაურობას. საფლავთან მივიდა. სიმწრისაგან მიწა მობლუჯა. დაწვა და თავისი მხურვალე გული ციც მიწას დაადო.

დიდხანს იწევა ასე.

ერთ ახალგაზრდა ცხენოსანს იმ ღამეს ტყეზე გავლი-სას მოესმა ყმუილი. იგი სულ არ წააგავდა არც ძალლის ყეფას და არც მგლის ყმუილს. მხედარი მიხვდა, ვინც ყმუ-ოდა. ყმუილი სუსტდებოდა და თანდათან შორდებოდა ტყის ნაპირს. მიდიოდა თოუღანი უღრან ტყეში, თუმცა იცოდა, რაც ელოდა იქ.

იმ ღამის შემდეგ თოუღანი არავის უნახავს, არავის გა-უგონია მისი ხმა. აღარც საფლავზე მისულა. მხოლოდ ამ-ბად შემორჩა მისი სახელი სოფელს.

სიცოცხლეზე ძვირფასი

ხალხური წოველის მოტივებზე

პ ზე საშუალელეოზე იდგა.
 ფარა ტაატით მიიწევ-
 და ფერდობზე. თხები
 ხან ქორფა ბალახს წიწკნიდნენ, ხანაც მაყვლიანს ეპოტი-
 ნებოდნენ.

ნაშუადღევს მზეს მაღალი ქედი ამოეფარა. მთაში პირ-
 ელად ამოსული ახალგაზრდა მწყემსები ყოველთვის
 ტყუვდებოდნენ ამ დროს, ეჩვენებოდათ — დაღამდაო.

მეც ასე დამემართა, როცა ფარას პირველად ავჭივი
 მთაში. სიბნელე ნაცადი ქურდივით წამომეპარა. კლდე-
 ები უცბად გაუჩინარდნენ. მთის ჩანჩქერების ჩხრიალი და
 ხოხბის ყივილილა ისმოდა ირგვლივ გამეფებულ სიჩუმე-
 ში. თვალის დახამხამებაში შთანთქა სიბნელემ ფარა,
 მწყემსები და მოშორებით მდგარი ყოში.

ცაზე მრგვალი, ნათელი მთვარე ამოგორდა. ჩვენ ყოშ-
 ში შევეღით და თხის ტყავებზე დაფენილ ნაბდებზე ჩამოვ-

ჯექით. ბინის შუაგულში ცეცხლი ენთო და მისი ენებიწაზა-
ზად ელაციცებოდა წკნელით ნაღობ კედლებს...

გარეთ თხების ოდნავ გასაგონი ფრუტუნი და თიკნე-
ბის ძილნარევი პეტელი ისმოდა.

ყოშში მთის ცივი ჰაერის ნაკადი შემოდიოდა, შუაცე-
ცხლის კვამლს უერთდებოდა და ყომრალ ცაში იკარგე-
ბოდა.

უცბად უჩივეულო ხმაური შემოიჭრა სიჩუმეში. ფარა
აირ-დაირია.

— ჰაიტ, ჰაჰაჰაიტ! — გამამხნევებელი შეძახილებით
გაცვივდნენ მწყემსები გარეთ. მე შეშინებული ვიდექი
სიბნელეში. მხოლოდ სროლისა და სტენის ხმა აღწევდა
ჩემამდე. დამფრთხალი თხები გულისწამლებად კიკინებდ-
ნენ.

— ნუ გეშინიათ! — მოგვესმა თავჩობან რაშიდ ახშიც-
ბას ხმა. — მოსვენებული ფარა ძალლებს შეუშინებია შემ-
თხვევით და ამ სულელებმაც ასეთი ხმაური ატეხეს...

დამშვიდებულმა მწყემსებმა თხები ბინასთან მივრე-
კეთ და ისევ ცეცხლს შემოცუსხედით.

— შეგეშინდა, არა? — დაცინვით მყითხა ერთ-ერთმა
მწყემსმა.

— სრულიადაც არა! — ვიცრუე მე.

რაშიდი ჩვენთან ჩამოჯდა, დაკვირვებით შემათვალიე-
რა და, როცა თვალებში შიშის კვალი შემნიშნა, თითქოს
სხვათა შორის ამბობსო, ისე მითხრა:

— მწყემსს სიმხდალე არ შეშვენის, დად! მთები სავ-
სეა მოულოდნელობებით და თქვენც, — მიუბრუნდა იგი

მწყემსებს, — ტყუილუბრალოდ დასცინით მას, უძველესი მელ თქვენგანს არ შეშინებია თავის სიცოცხლეში მართავს ხელ მაინც?

შავ ნაბადში გახვეული რაშიდი ჩემ წინ იჯდა. შუბ-ლზე ფაფახი ჩამოეფხატა, ჭაღარა ულფაშები ლაზათიანად აეგრიხა. მოხუცებულობის მიუხედავად რაშიდი ტოლს არც ერთ ახალგაზრდას არ უდებდა. მთებს საკუთარ ფაც-ხაზე უკეთ იცნობდა. მან აქ, მაღლა, სადაც დღეს ასე ჩეა-რა ცვლის ღამე, უფრო მეტ ხანს დაპყო, ვიდრე ქვევით, სოფელში. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბევ-რი საინტერესო ამბავი გადახდა თავს. ახლა ყველას სურ-და რაიმე ეამბნა რაშიდს, რომ იოლად გაგვეთენებინა მთის ბნელი და გრძელი ღამე.

მოხუცს არ უყვარდა საკუთარ თავზე ლაპარაკი. თუ რამეს მოყვებოდა, ისე უგულოდ, თითქოს ყურმოკრულს ჰყვებაო მხოლოდ და არა განცდილს და ნანახს. ამჯერად იგი საოცრად გულახდილი და ენაწყლიანი აღმოჩნდა. ჩენი გამხნევება თუ უნდოდა...

— შიში გულში არ უნდა გაიტაროთ, დად, — გააგრ-ძელა რაშიდმა, — იგი მამაკაცს ძუძუს ბავშვივით უსუ-სურს ხდის. ამ მთებში გერმანელების ყოფნისას ჩევნებს მეგზურობას ვუწევდი, სურსათ-სანოვაგვ და საომარი მა-სალაც დამქონდა. ტყვია სეტყვასავით ცვიოდა მიწაზე. ერთ-ერთმა ჩვენს ოფიცერსაც უწია. მხრებზე წამოვიკიდე დაჭრილი და ისე გავაგრძელე გზა. აფეთქებებისაგან მიწა ირყეოდა ფეხქვეშ, მაგრამ შიში ორთავეს სიკვდილს უდ-რიდა და მეც წინ მივიწევდი! უფრო ადრე კი, ჯერ კიდევ უწვერულ ჭაბუკს, მთებში, ბნელ ხეობებში ბევრჯერ შემ-



ხედრია პირისპირ დათვი. და ხანდახან თუმცა ხელთ შესრულებულია ლოდ კომბალი მქონდა, არასდროს შემშინებია... ნურც ისე იფიქრებთ, შვილებო, თითქოს არასდროს მეგრძნოს შიში. იყო ჩემს ცხოვრებაში ერთი შემთხვევა, რომელიც ღირს იმად, რომ თქვენც მოგიყვეთ. ის ამბავი უკვე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ წარსულიც ბევრი რამის მასწავლებელია...

რაშიღმა გვანიშნა: — ცეცხლს შეშა შეუკეთეთო, ნიკაბი კოერიანი ხელით ჩაბლუჯა და აი, რა გვიამბო:

— ჯიხვის რქასავით მოხრილი მთვარე ეკიდა ცაზე. უდაბური ტყე უნდა გამევლო. იქ მხოლოდ ფოცხვერის თვალების მქონე და ჯიხვივით ფრთხილი თუ გაიგნებდა გზას. ფეხები ხმელი ტოტები იმტკრეოდა, მათი ტკაცუნის გარდა არაფერი არღვევდა სამარისებურ სიჩუმეს. ხანდახან ჭოტი თუ გაეხმიანებოდა ნაღვლიანად ღამის მეგობარს...

უეცრად ძალიან ახლოს ფაჩუნი შემომესმა. ბუჩქებში რაღაცამ გაიეღვა. მეღამ თუ გაირბინა, — გავითვიქრე ჩემთვის. მაგრამ ფაჩუნი განმეორდა. აღამიანის ჩურჩულიც გავიგონე და უნებლიერ შიშმა ამიტანა.

ძნელი მისახვედრი არ იყო: მე მელოდებოდნენ გასაძარცვავად, იქნებ მოსაკლავადაც. ერთი პირობა უკან გამობრუნება და გაქცევაც დავაპირე...

— არა! ეს რა ვაჟაცობაა? — გამამტყუნა გულმა. — მათ უნდათ შიშველი დამტოვონ ტყეში და სოფელში სახელი გამიტეხონ. მაგრამ ჩემთვის ხელები არავის შეუკრავს და უბრძოლველად ვერავინ დამიმორჩილებს.

— შესდექ! — დამშეყივლა ყურთან ვიღაცამ.



— ერთი ნაბიჯიც და მგლები გაიხარებენ!.. — უკნიდან მეორემ.

გარეული კატის სისწრაფით ვისკუპე ხეზე.

— რა გინდათ ჩემგან? ძველი ახალუხისა და ძირგავარ-დნილი ჩექმების გარდა არაფერი გამაჩნია.

— ხმა, კრინტი! სანამ გესროდე, გაიხადე!

— ცოცხალს ვერ გამხდით! მკვდრისთვის სულ ერთია...

ჩემს ახლოს ტოტები აშრიალდა, ვიღაცა მიახლოვდე- ბოდა. ავაზასავით ვიყავი გადასახტომად გამზადებული, მაგრამ ზურგზე თოფის ციფი ლულა ვიგრძენი. უმაღ მოვ- ტრიალდი, ლულას ხელი ავკარი და საფანტმა ზუზუნით გადამიარა თავზე.

— ყველა ვაჟკაცი დაეხსნებოდა უიარალოს!..

ხიდან ჩამოვხტი. მტრის ხელში ახლა დანამ იელვა. სი- ტყვა პირში შემაცივდა. მოქნეულ დანას ხელი დავუხვედ- რე, ალესილი პირი თითებს შორის გასრიალდა. მგლები- ვით ვეცით ერთმანეთს და მიწაზე დავგორდით. ცოტა ხნის ჭიდილის შემდეგ დანა ავართვი ყაჩალს. მეორე იდგა და არ ისროდა იმის შიშით, ვაითუ ამხანაგს მოვარტყაო. უცრად მტერი ყელში მწვდა. სუნთქვა შემიჩერდა და ხროტინი და- ვიწყე. გამწარებულმა მთელი ძალით მოვიქნიე დანა... ცხე- ლი სისხლი შემომეჩქენა სახეზე...

— ოჰ, ოოოჰ! ძაღლისშვილო! — წამოიხრიალა ყაჩალ- მა და ხელები შემიშვა.

— ღმერთო! ყველა ჩემი ცოდვა მისი გზით ატარე! — შევთხოვე მამაზეციერს და მეორეს მივუბრუნდი, მაგრამ იგი მშიშარა აღმოჩნდა და სიბნელეს მისცა თავი...

...გათენებისას შევძვერი ფაცხაში. მოხუცმა დედამ ტან-
საცმელზე სისხლი შემამჩნია და სიმწრით წამოიძახა:

— ვისი სისხლით დამიბრუნდი, შვილო?

— ჯიხვი მოვკალი! — ვიცრუე დედის დასამშვიდებ-
ლიად.

— მაგრამ მე ვერც ტყავს ვხედავ, ვერც ხორცს.

— მოგვიანებით მოვიტან! — თავდახრით მივუგე მშო-
ბელს...

...ის-ის იყო მთებიდან მზე ამოიწვერა, სოფელში ხმა-
გავარდა: — წუხელ, ღამით, კუჩბას შვილი, გახა მოუკ-
ლავთო ყაჩალებს. მისი გვამი ტყეში, მეზობელ სოფელშა
მიმავალ ბილიკზე იპოვეს...

მოხუცი კუჩბას ფაცხას მოთქმა-გოდების შემზარავა-
ხმები ავსებდა...

— ნეტავ ვინ გაბედა ხელი აღემართა ჩვენზე? — გამ-
წარებით კითხულობდნენ გახას ძმები. უფროსი, წარბხში-
რი ბაბუშა ცხენს მოახტა და მამის ეზო დატოვა.

— შურისძიებამდე არ ვგლოვობ ძმას! — ყველას გასა-
გონად დაიძახა მან, ცხენს მათრახი შემოჰკრა და თვალს-
წიეფარა...

საუკუნესავით გაგრძელდა ის დღე და მეორე ლამე. მო-
 სვენება დავკარგი. ყოველ წუთს ველოდი გასროლას, ან
 დანის დარტყმას. „რა გავუკეთე გახას ცუდი? რატომ და-
 მესხა თავს? — გულისწუხილით ვიგონებდი ყოველივეს. —
 არა, მისთვის არაფერი დამიშავებია. იქნებ ჩემი ხმა ვერ
 იცნო, სიბნელეში სხვად ჩამთვალა. მაგრამ ლამით რა უნ-
 დოდა ტყეში, ვის ჩაუსაფრდა ყაჩალივით? ჩანს, არ ყოფი-
 ლა სუფთა სინდისის პატრონი და ჩემი ხელიც უზენაესმა
 აღმართა ალბათ“...

მეორე დილით ეზოში შავნაბდიანი უცნობი შემოვიდა
 და ტრადიციული მისალმების გარეშე მომმართა:

— ჩვენს სოფელს სიკვდილი ესტუმრა. ვიღაცის ვერაგ-
 მა ხელმა გახას სიცოცხლე მოუსწრაფა. მოდი, შენი ცრემ-
 ლები აკლია მის კუბოს...

დაკრძალვის დღე მითხრა და თავდახრილმა დატოვა
 ტზო. ვიგრძენი: — მოხუც კუჩბას ჩემზე არ ჰქონდა ეჭვი...
 ამან ისე დამაბნია. სტუმარი პურ-ლვინის გარეშე გავუშვი
 სახლიდან...

მთელი ის დღეები შიშში გავატარე...

— რატომ არ მიდიხარ, შეიღო, სატირალში? მთელი
 სოფელი იქაა, — მითხრა დაკრძალვის დღეს დედამ.

— არ შემიძლია. გახა მე მოვკალი დედა! მამის სულ
ცფიცავარ, არ მინდოდა მისი სიკვდილი...
...და დედას ცველაფერი მოვუშევი იმ საბედისწერული დღის
დამეზე.

— ვაი, ჩვენ დღეს, შვილო, რომელმა ბოროტმა სულმა
წაგიყვანა დამით იმ დაწყევლილ ბილიკზე? — სიმწრით
წამოიძახა მან.

— მეზობელ სოფელში მივდიოდი! მოხუცი ჯაფარის
ქალიშვილი, რაფიდა მინდოდა მენახა.

— უბედურო! ნუთუ არ იცოდი, რომ სანამ შენ მთებში
ცყავი, კუჩჩამ გახასთვის ითხოვა რაფიდას ხელი და უარი
მიიღო?

„აი, თურმე რატომ უნდოდა ჩემი შერცხვენა იმ სულ-
წაწყმედილს.“ — გავივლე გულში.
სატირალში წაუსვლელობა თავის გაცემას ნიშნავდა.

●

...კუჩჩას ეზოში შესული კუბომდე ორმა ახალგაზრდამ
მიმაცილა. მოკლულის ახლობელთა პირისპირ აღმოვჩნდი.
გახას დედის ვაი-ვიშმა გული გადამიტრიალა და თვალები
განადგურდი ცრემლებმა დამინამა. ვერავინ ვანუგეშე, გულ-
უნებლიერ ცრემლებმა დამინამა. ცხენს მოვახტი და უკან დავ-
ბრუნდი...

●

უძილო, მოუსვენარმა დამეებმა სახე გამიყვითლა, თვა-
ლები დამიწითლა. ჩავთვლემდი და მეჩვენებოდა, ვითომ

გახას ტირილში სისხლიან ხელებს ვირტყამდი გულზე /
ყურებში დედისა და დების გოდება ჩამესმოდა. გამოიყენეთ
ზღვებოდი და ჩიბუს ჩიბუხზე ვაბოლებდი.

— რამე უნდა ვიღონო! — გადავწყვიტე ჩემთვის. —
მამაკაცურ ნამუსს ვერ ვუღალატებ, შიშს ვერ შევეჭმევი-
ნები. კურდღლის გული ხომ არ მიცემს მკერდში?..



...მთელ სოფელს ელდა ეცა. არავის სჯეროდა, როცა
გაიგეს: რაშიდმა გახას ნათესავებს კაცი გაუგზავნა და შე-
უთვალა: მე მოვკალიო გახა! მსგავსის მნახველი კი არა,
გამგონიც არავინ იყო სოფელში.

როცა საშინელი სიმართლე გაუგია, ბაბუშა მაშინვე
დაბრუნებულა სოფელში. მშიერი მგელივით გაბოროტე-
ბულს მუქარით უთქვამს:

— მზის ამოსვლასაც აღარ მოვასწრებ, ისე ამოვხდი
სულს.

იმავე ღამით ჩასაფრებულა ჩემს ფაცხასთან, საიდანაც
ყველაფერი ესმოდა თურმე...

— სახლშია ძაღლისშვილი! ის უფრო მამაცი ყოფილა,
ვიდრე მეგონა...

მე, ახალტანდაბანილი, ცეცხლის პირას ვიჯექი და
ვშრებოდი. თუ სიკვდილი მელის, დაბანილი მაინც დავუ-
ჩდები-მეთქი, — ვფიქრობდი ჩემთვის.

— გაშრეს! ჩაცმას ვეღარ მოესწრება ჩემი სისხ-
ლის მსმელი ძაღლი! — მუქარით ჩაულაპარაკნია ბაბუშას
და თოფის ლულა ფაცხის ღობეში შეუცურებია...

— გაფრთხილდი, შვილო! — მევედრებოდა დედა. —

თავდასხმას ყოველ წუთს უნდა მოელოდე. აიღე ხურჯინი
და ჩემ ძმებთან წადი. ისინი დაგიცავენ...

— დედა! საკუთარ სინდის-ნამუსზე უკეთ ვერავონა და გამოვარა
მიცავს. არც მტერი მეგულება ისეთი, მძინარეს ან შიშველს
მესროლოს. მხცოვან კუჩბას საგვარეულოში გახასთანა
უგვანი აღარავინაა. იგი ოვით დამესხა თავს უიარაღოს და
სცადა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი — ნამუსი წაერთმია,
მას უნდოდა გმირის სახელის მოპოვება, ჩემთვის კი თავ-
ლაფის დასხმა და იმის დამტკიცება, რომ მე რაფიდას
ღირსი არა ვარ...

სიტყვა არ დამემთავრებინა, კარზე დააკაკუნეს. ხალა-
თი გადავიცვი და კარი გამოვაღე... რამდენიმე წუთს უსი-
ტყვოდ ვუყურებდით მე და ბაბუშა ერთმანეთს.

— შენი ნებაა, მესროლე! ოღონდ... ჯერ სიმართლე გა-
იგე.

— მე ყველაფერი ვიცი! — მითხრა ბაბუშამ. — შენ
მოკალი ჩემი ძმა, მაგრამ სისხლს არ ვიღებ. ნამდვილი
ვაჟკაცი ყოფილხარ. გახას სიცოცხლეს სიკვდილი სჯობდა.
მისმა სიკვდილმა მთელი საგვარეულო გადაარჩინა სამუ-
დამო სირცხვილს...

ამ სიტყვებზე ბაბუშამ თოფი მაღლა შემართა და ჭერს
შეახალა ტყვია...

გამარჯობა - ნახვამდის

ქ აფხულის პაპანაქება
 სიცხეში, როცა ქუჩებ-
 ში საშინელი ხვატი
 დგას, უეცრად მეგობარი დაგადგება თავს, ლოყები ისე
 გასწითლებია, თითქოს ვინმემ ჭინჭრით დაუსუსხაო. სიც-
 ხისაგან სულს ძლივს ითქვამს, გადმოდგამს თუ არა ფეხს,
 სხაპასხუპით მოგაყრის:

— აი, თურმე რატომ არ ტოვებს აბრსკილი თავის გა-
 მოქვაბულს, სიგრილეა, არა? აბა, წავიდეთ.

— სად? — კითხულობ გაკვირვებული.

— დღეს ქვირაა, ეგებ დაგავიწყდა კიდეც. წავიდეთ სა-
 დმე, სადაც ყინულივით ციფი წყარო მოწანწყარებს, და ხე-
 თა ჩეროში სული მოვიბრუნოთ.

დგახარ და ორჭოფობ, აღარ იცი, წაჰყვე თუ არა. მეგო-
 ბარი კი მხარზე ხელს გიტყაბუნებს და გამხნევებს:

— რა ინდაურივით იფხორები, ჩქარა, აგრას დაურევი-
 მარტო არც მე მოვდივარ...



— აბა ვინ მოგყავს? — ეკითხები დაინტერესებული იყო, „ვითომ არ იცი?“ — ამბობენ მისი თვალები და მერე ვი-ღაც გოგოს სახელს გეუბნება, სულ ერთია, იქნება ეს სელ-მა, სელხა, სიმა, სირმა თუ სხვა...“

და აი შენი მეგობარი იღებს ტელეფონის ყურმილს. იგი დარწმუნებულია, რომ საკმარისია გინემ შენი სახე-ლით დაურეკოს აგრას და ის თავქუდმოგლეჭილი გამოიქ-ცია დანიშნულ ადგილას. პოდა, აი უჭირავს შენს მეგო-ბარს ტელეფონის ყურმილი და გელოდება. შენ სიხარული გიყრობს, იხსენებ ნომერს და აგრა წარმოგიდგება თვალ-წინ. სახე გებადრება, პესმის როგორ გიცემს გული, წუ-იც და მისი ტელეფონის ნომერი დასცდება შენს ბაგეს. მერე? მერე კარგად იცი რა საუბარი გაიმართება შენსა და აგრას შორის:

„ისევ შენა ხარ? რამდენჯერ გითხარი, ნურავის დაარე-კინებ-მეთქი“. შენ გარინდული უსმენ, გინდა გაიგო რამ-დენად წრფელია მისი საყვედური. და ბოლოს ეუბნები: „ნუ მიბრაზდები, მე არ მითხოვია მისთვის დარეკვა, იჯდა თავისთვის და უცბად შენ დაგირეკა“. ამას რომ ამბობ, ძალიან სულელური სახის გამომეტყველება გაქვს, ენა გე-რევა. „ააჲ, ესე იგი თქვენ ისხედით და მასლაათობდით, შენ არც აცივე, არც აცხელე, ადექი და ჩემი ტელეფონის ნომერი მიეცი, არა?“ — უფრო გაცხარდა აგრა. „მე სუ-ლაც არ მიმიცია, როგორ არ გესმის, იჯდა თავისთვის, რა-დაც ნომერს კრეფდა, და უცბად შენთან მოხვდა“. ჩმახავ სისულელეს, მაგრამ მაინც გიხარია, რომ თავი დაიძრინე. ერთი სიტყვით, წყალწალებულივით ხავსს ეჭიდები. ყოვე-ლივე ამას ხვდება აგრა, ხვდება, რა ნექტარითაც ხარ ნაჩხ-

ვლეტი და... „რა გიყო, მესმის შენი, მაგრამ“... თანდათან
ეცვლება ხმა და ბოლოს მკაცრად გეუბნება: „ეს ფრთხოები
ველი და უკანასკნელი, მეტად აღარ დამირეკო“, — და
ყურმილს კიდებს. შენ გაოგნებული რჩები დატუქსული
ბავშვივით, არ იცი რა იღონო, ბოლოს ნერწყვს ყლაპავ და
შუბლიდან სიმწრის ოფლს იწმენდ.

სანამ მთელი ეს სცენა წარმოიდგინე, მეგობარი გელო-
დება.

— შენ რა, ტელეფონის ნომერი დაგავიწყდა?

— იცი, სწორედ გუშინ გამოუცვალეს ნომერი, — იტ-
ყუები და თავად გჯერა შენი ტყუილის. — ეჭ, კარგი იქნე-
ბოდა, მცოდნოდა!

მაგრამ მეგობარი რისი მეგობარია, იღებს ყურმილს,
რომ 09-ს დაურეკოს.

— მოიცა, მოიცა, ეგ კი არა, მგონი სულ მოუხსნეს ტე-
ლეფონი!

— ეგრე გეოქვა მერე, შე დალოცვილო!

ერთი წუთით შვებას გრძნობ, მაგრამ ტყუილად, შენი
მეგობარი არ ცხრება.

— წავიდეთ!

— სად?

— შინ გავუაროთ, ხომ არ შეგვჭამენ მისი მშობლები
ჯერ გონსაც ვერ მოსულხარ და აი, უკვე მანქანაში ზი-
ხარ. გზა მიხვეულ-მოხვეულია, აქეთ-იქით ენარცხები, მა-
გრამ ამას ყურადღებას ვინ აქცევს. თავში ათასი ფიქრი
გიტრიიალებს. აგერ ერთი თვეა, არ გინახავს. რამდენჯერ
მდგარხარ საათობით ქუჩაში, მაგრამ ამაოდ. მოგიკრებია
მთელი ძალ-ღონე, მისულხარ მის კართან, წუთიც და ღი-



ლაქს თითს დააჭირ. ეს უბრალო ღილაკი როდია, მთელი შენი ბედნიერება მასზე კიდია. კარს აგრას დედა გილებურავის იგი მაღალი ქალია, ჭაღარა, თვალები ეშმაკურად უციმცი-მებს. მან იცის რისთვის მიხვედი. ამიტომ არაფერს გეკით-ხება.

— შემოდი, ნან, გუდა, — გეუბნება, თუმცა მისი ხმა სულ სხვას ამბობს: „აა, ისევ მოხვედი, არა?“

შენ წინასწარ გქონდა მოფიქრებული რა გეთქვა, თუ კარს აგრას დედა გაგილებდა. ახლა კი ყველაფერი გავი-წყდება.

— აგრა შინ არ არის, ნან. თუ რამე წიგნი გინდა, თვი-თონ ამოირჩიე. — მან კარგად იცის, რომ წიგნებს ვერ იტ-ან, მაგრამ მოსვლის საბაბი ხომ უნდა გიპოვოს.

— დიახ, წიგნი მინდოდა, — ეჭიდები მის სიტყვებს და კარადასთან მიდიხარ. თითქოს გაფაციცებით ეძებ სასურ-ველ წიგნს, თვალი კი მეორე ოთახისაკენ გიშირავს, ეგებ აგრა გამოვიდესო. უცბად თვალი პიანინოსაკენ გაგირბის. იქ აგრას სურათი დევს. აგრა გილიმის, თვალებში კი ათასი ეშმაკი ერთად უხტის! „განა არ ვიცი, რა დღეში ხარ“, — გეუბნება იგი. შეჰყურებ სურათს და ყველაფერი გავიწყ-დება. თავადაც იღიმები, მისკენ იწვდი ხელებს და მოჯა-ღოებულივით მიდიხარ პიანინოსაკენ, იღებ სურათს. „ახ-ლახან გადაიღო“, — სიჩუმეს არღვევს დედამისი. შენ ოფლ-ში იწურები, თითქოს ცივი წყალი გადაგასხესო. ცივად ბრუნდები კარადისაკენ, თუმცა გირჩევნია, მიწა გაგისკდეს და თან ჩაგიტანოს. ფაციფუცში რაღაც წიგნს ავლებ ხელს და გარბიხარ. კართან დედამისის ხმა გეწევა:

— შენ რა, ჰინდურ ენას სწავლობ. რად გინდა ეს ლექ-
სიკონი?

— ჰო, რასაკვირველია, რამდენი ხანია, არ იცოდით? —
სხაპასხუპით აყრი, თუმცა ამ ენის არსებობა არც გაგიგია.

გადის რამდენიმე დღე და ბედად ხვდები აგრას. იგი
ცდილობს გაგიღიმოს, მაგრამ თავს დამნაშავედ გრძნობს:
აღიარებს, რომ ამას წინათ შინ იყო და აიძულა დედა
ტყუილი ეთქვა, რისთვისაც მოხვდა კიდეც. ჰოდა, აი, რომ
გაუჯავრდნენ, შენა ხარ დამნაშავე, ბოლოს და ბოლოს
რამდენი რამე უნდა აიტანოს შენი გულისთვის.

სანამ ყოველივე ეს ცოცხლად წარმოიდგინე, მანქანა
უკვე მის სახლს მიუახლოვდა. შენს მეგობარს ლოკებზე
ლეცხლი უკიდია, თავადაც იწვი სიცხისაგან.

— ფუ. ღმერთმა დასწყუევლოს, სულ არ გადამავიწყდა!

— რა გადაგავიწყდა?

წუთით შეყოვნდი, გინდა ტყუილს სიმართლის იერი მის
ცხ.

— როგორ დამავიწყდა. ამ დილით ხომ ის დედ-მამას-
თან ერთად გაემგზავრა.

— სად! — აღშეფოთდა შენი მეგობარი.

— სად და იქ, შორს...

— გარკვევით თქვი, სადაა ეს შორს?

შენ ცდილობ რამე ისეთი ადგილი მოიგონო, რომ მან-
ქანა ვერ წავიდეს.

— სადა და ამტკელში, მთლად მაღლაა მთებში, სახუ-
დარიც ძლივს ადის.

— მერე ვერ თქვი აქამდე?

— რა ვიცი, მომაგონდა?

— უშენოდ წავიდა? — გაიფოფრა შენი მეგობარი
— მშობლებმა აიძულეს, — ამბობ და გვერდზე იხედე-

ბი.

— თუ მოღიხარ, წამოდი, არა და მე წავალ, — ბრა-
ზობს შენი მეგობარი. მანქანიდან გადმოღიხარ და მეგო-
ბარს ხელს უქნევ. მაგრამ გაგცდება თუ არა ცოტას, ჩერ-
დება, უკან ბრუნდება და გეუბნება:

— მაპატიე, ასე უხეშად რომ მოგმართე. მოდი, იცი რა
ვქნათ, — და ის არ მახსოვეს სიმას, სირმას, სელმას თუ
სცლხას ასახელებს — იმას ერთი ამხანაგი ჰყავს, კარგი გო-
გოა, ვეტყვი და წამოიყვანს. თანახმა ხარ?

შემცბარი კეთას იქექავ, არ იცი, რა უთხრა. რამეც რომ
მოიფიქრო, ტყუილი უკვე მოგბეზრდა. მეგობარი შემოგ-
ცემის, შემდეგ ხელს იქნევს: „შენგან არაფერი გამოვაო“
და მიდის. შენ კი ფიქრები გყლავს: ნეტავ სადაა აგრა? და
მთელ ქალაქში დააბოტებ.

რა სჯობია ზამთარს, წვიმს, თოვს, ყინავს, ყველაფერი
ეს შენდა სასიკეთოდაა. მაშინ დარწმუნებული ხარ, რომ
აგრა შინაა, ქალაქგარეთ არ გასულა, თუმცა განა სულ
ერთი არ არის, შინ ზის თუ სხვაგანაა, თუ შენ ვერ ნახავ?
მაგრამ არა: როცა იცი, რომ შინაა, უფრო მშვიდად ხარ.
კიდევ რითაა კარგი ზამთარი? ზაფხულში შეიძლება გზა
გაიმრუდოს აგრამ: ან სანაპიროთი წავიდეს სამსახურში,
ან ზედა ქუჩით. ზამთარში კი ერთი გზით დადის. ის კი
არა, ზამთარში ისიც იცი, სადაც შენ უცდი, იმ ადგილას
რომელ საათზე იქნება, დგახარ და ელოდები. ისეთ სახეს
იღებ, ვითომ მეგობარს უცდი. თუ წამოწვიმა, რომელიმე
აიგანს შეაფარებ თავს, გვერდით აუცილებლად ვიღაც ამო-



გიდგება. მოუსვენრობა გეტყობა, წამდაუწუმისათვისას—
ცქერი, იმას კი ვეღარ გრძნობ, რომ თავი გაეცი.

— იგვიანებს? — გეკითხება ის ვიღაც.

ნეტა რა ამის საქმეა!

— ვინ?

— ვინა და სატრფო.

— მე მეგობარს ვუცდი. მარწყვის საკრეფად გვინდა
წასვლა. — ის ხვდება, რა გუნებაზე ხარ და აღარაფერს
გეკითხება. შენ ხედავ, როგორ გადაჭრა აგრამ ქუჩა, წვი-
მამ რა ხანია გადაიღო, შენ კი მაინც იწევ საყელოს და მია-
ბოტებ. აი, შემოუარე ერთ ქუჩას, თავჩაქინდრული მიაბი-
კებ, თითქოს რამე სერიოზულზე ფიქრობ, და, უცბად, აგ-
რას პირისპირ რომ აღმოჩნდები, გაკვირვებულ სახეს იღებ:

— შენ აქ როგორ გაჩნდი? — ეკითხები.

— სამსახურში მივდივარ, — ეღიმება აგრას.

ისეთ ხასიათზეა, გინდა თავი დაირწმუნო, რომ შენი
ხახვა გაუხარდა. ეს გამბედაობას გმატებს.

— გაგაცილებ, გინდა?

— არა, რა საჭიროა.

— სულ ერთია, მაინც იმ მხარეს მოვდივარ — ეუბნე-
ბი და გვერდით მიჰყვები. დაძაბული ხარ, გეშინია რამე
ცრ დააშავო.

— ახლა როგორა ხარ? — ისე ეკითხები, თითქოს წი-
რა ავად იყო.

— მე თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ, მგონი, შენ ვერა
ხარ კარგად.

— აგრა, ხომ იცი, კუზიანს რაც გაასწორებს, — ეუბ-
ნები, თან ყელში რაღაც გეჩხირება, ცდილობ გაიღიმო. მას

არ მოსწონს შენი ნათქვამი. შენ ყოველ ღონეს ხმარობ სწვა
თემაზე გადაიტანო საუბარი. იცი მისი პასუხი:

— მე მესმის შენი, პატივს გცემ, როგორც მეგობარს,
შაგრამ.... — ბაძავ აგრას ხმას.

— გეყოფა, არა გრცხვენია, რატომ ხუმრობ?

მთელი შენი თვალთმაქცობა სადღაც გაქრა. ერთმანე-
თის გვერდით მიდიხართ, გიხარია აგრა ხმას რომ არ იღ-
ებს. მოგბეზრდა ერთი და იგივე სიტყვები, რაღაც იმედი
იღვიძებს შენში. თვალებში შესცემური მონუსხულივით, მა-
გრამ იგი უცბად ტრიალდება, შენ წინ დგება და ლაბადას
ცწორებს.

— აი, ასეთი რომ არ იყო, — ჩუმად ამბობს იგი.

— ჰოო, ლამაზი რომ ვიყო, ჭკვიანი...

— გაჩრდი! კარგად იცი, არც უშნო ხარ და არც უჭ-
კუო. აი, ასე ძალიან რომ არ გიყვარდე... გამიგე, ქალებს
არ უყვართ, კაცები კუდში რომ დასდევენ. ასე რომ არ გი-
ყვარდე, იქნებ შემყვარებოდი კიდეც...

— ნუ, ნუ მეტყვი, ეს ხომ უკვე ვიცი. მართლა, კინალამ
დამავაწყდა... შორს მივდივარ, ბილეთი უკვე შევუკვითე-

— გუდა, ეგებ ასე ჯობდეს კიდეც, რა ვქნა, ჩემი ბრა-
ლი არ არის.

— მე ხომ არაფერს გთხოვ. ვარ ჩემთვის, ვმუშაობ, აი
დღესაც შემთხვევით შევხვდით. ბილეთი კი უკვე შევუკვი-
თე. მომწერ წერილებს?

ერთ ტყუილს მეორე მოემატა.

— კი, მოგწერ.

უახლოვდებით მის სამსახურს. ის ტრიალდება, გილი-



მის, გაიმედებს და მიღის. შენ დიდხანს დგახარა მომზადება
ახალი აზრი გებადება: რა იქნება, მართლა რომ წანვიდე
სადმე. დრო გაივლის. ეს კარგია შენთვისაც, მისთვისაც.
საერთოდ, კი მთელი ეს სისულელე თავიდან უნდა ამოიგ-
დო. უჰ, რა კარგი იქნება! ეს აზრი აღგაფრთოვანებს, მირ-
ბიხარ პირდაპირ სადგურში, სალაროსთან, ყოფ შიგ თავს
და ეკითხები:

- უკაცრავად, გაქვთ ბილეთი?
- სად მიემგზავრებით? — გეკითხება მოლარე, თან
წაბლისფერ თმას ისწორებს.
- უჰ, სულ არ დამავიწყდა?
- დაგავიწყდა? — იცინის გოგონა.
- პოო, გამახსენდა, ირკუტსკში! უჰ, არა, არა, ვლადი-
გოსტოცში. ხომ გაგიგიათ ასეთი ქალაქი, — ცდილობ ხუმ-
რობაში გაატარო დაბნეულობა.
- ყმაწვილო, გეყოფათ ლაქლაქი, უმჯობესია გარკვე-
ვით მითხრათ, სად მიემგზავრებით, — ღიმილი გაუქრ,
მოლარეს.
- მოლარეს რიგში მდგომნიც აჰყვნენ:
- ყმაწვილო, ცოტა სწრაფად.
- მომეცით მურმანსკის ბილეთი, — დაუფიქრებლად
ამბობ შენ. ეს ალბათ იმიტომ, რომ ოდესლაც მურმანსკში
შენი მეგობარი მუშაობდა, წერილებსაც სწერდი მას.
- მოლარეს პგონია, რომ იხუმრე, მაინც ცდილობს გიშო-
ვოს. სადღაც რეკავს, ეკითხება.
- სამწუხაროდ, არაა ბილეთი.
- გოგონა, ძალიან გთხოვთ, აუცილებლად უნდა წა-
ვიდე, — ეხვეწები ყელგაწვდილი.

— ერთი-ორი დღის შემდეგ გამოიარეთ. ეგებ რამენა დონო, — თანაგიგრძნობს ის.

რას იზამ, შორდები სალაროს, დგახარ და არ იცი, რა ქნა.

— ყმაწვილო, — თავს ყოფს სალაროდან მოლარე, — მატარებელი საცაა გავა. მოელაპარაკე გამყოლს, ეგებ წაგიყვანოს.

— სწორია. გმადლობთ.

თითქოს ცა გაიხსნაო, მირბიხარ მატარებლისაკენ. შემადგენლობის გასწვრივ გამყოლები დასეირნობენ. შენც ჯოველ მათგანს ათვალიერებ, ეძებ რომელს აქვს უფრო კეთილი თვალები, ვის ენდო. და, აი, ერთი ამოირჩიე. უახლოვდები. არ იცი როგორ დაიწყო. ისეთი გაუბედურებული სახე გაქვს, არც კი სჯერა, რომ ბილეთი არ მოგცეს.

— ფული მაქვს, — ეუბნები შენ.

— შედი, — უხარია გამყოლს.

ტამბურში დგახარ, ბაქანს ათვალიერებ, ხალხი ჩოჩი-ქოლობს. შენ დარწმუნებული ხარ, რომ აგრა მოვა, გაგაცილებს, მაგრამ ამაოდ. არავინ არ ჩანს. აუტანელი სურვილი გიპურობს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი. მატარებელი იძვრის. წამსვლელ-დამრჩენი ეხვევიან ერთმანეთს, კოცნიან, ხელს უქნევენ, ტირიან. ყოველივე ეს გაბრაზებს, მატარებელი კი მიდის და მიდის, შენ საფეხურზე დგახარ. არავინაა... და ანაზღად ხტები...

— კარგად იყავი, ნახვამდის, — ემადლიერები გამყოლს. შენმა საქციელმა პირზე ღიმი მოგვარა. თითქოს უკეთესია, რომ დარჩი. გამყოლმა საფეხურთან მიიტანა თითი, სრულ ჭკუზე ხარო? — გეკითხება.

უმიზნოდ დააბოტებ ქუჩებში. ყველაფერი მოგზე წილდა. უცბად ახალი აზრი გებადება, რაღაც გიხარია, გერის მიზანი რომ ეს-ესაა დაბრუნდი შორეული მოგზაურობიდან, რომ უკვე დიდი ხანია არ გინახავს აგრა, რომ საჭიროა...

და აი ჯიხურში შედიხარ და კრეფ ნომერს. დიდხანს ვერ იღებ ხმას, მერე მიკნავებული ესალმები.

— გამარჯობა!

— ნახვამდის, — გპასუხობს და მილს გაბრაზებული დებს.

სხვა რა გზა გაქვს, თითქოს საკნის კარი გაგიღესო, ტოვებ ჯიხურს და მიდიხარ. „გამარჯობა — ნახვამდის“, იმეორებ ამ ორ სიტყვას, გინდა სხვა რამეზე იფიქრო, მაგრამ შენც არ მომიკვდე. „გამარჯობა — ნახვამდის“ — არ გცილდება ეს სიტყვები, აგრეთვიატა და იმეორებ.

გადის კიდევ რამდენიმე დღე. შენ თითქოსდა შემთხვევით მისი ქუჩისაკენ მიდიხარ და ისევ შემთხვევით ხვდები მას.

— როგორა ხარ? — გიკითხება.

— კარგად! არა, ბრწყინვალედ! — პასუხობ.

დღე დღეს მიჰყვება, კვირა კვირას. ხან თოვს და ხან წვიმს, ხან მზე გამოანათებს და ვარსკვლავები აკიაფდება ცაზე. სადაცაა გაზაფხულდება. შენი ფიქრები კი თითქოს გაყინულანო, ისევ და ისევ აგრა გაბოდებს. იხსენებ იმ დღეს, როცა გითხრა წერილს მოგწერო. ეგებ ჯობდა, ა?

გაგონდება მეგობარი, მურმანსკიდან რომ გწერდა წერილს, თვალნათლივ ხედავ ქალაქს.

აი, ნაპირს ტრაულერი მოადგა, მეზღვაურები გემბანზე გამოსულან, ერთი სული აქვთ ხმელეთზე დადგან ფეხი.

— ნახევარი წელია მიწა არ გვინახავს.

— არც ქალისათვის მომიკრავს თვალი.

შენ შესცემი მეზღვაურებს და გიხარია.

რა?

თავად არ იცი.

აი განცხადებაა გამოკრული. მეთევზები სჭირდებათ შორეული ნაოსნობისათვის. რა ბედნიერებაა, ეგებ ჯობს წახვიდე?

დაუფიქრებლად კრეც აგრას ნომერს, მერე სასწრაფოდ დებ ყურმილს. ახლა სადგურში რეკავ. ეკითხები არის თუ არა ბილეთი მურმანსკამდე.

იღებ ჩემოდანს, მიდიხარ გასასვლელისაკენ, ბრუნდები, ადვილი მისახვედრია, ისევ ახალი გადაწყვეტილება მიიღე: გინდა დაურეკო აგრას. ვითომც ჯერ არ დაგირეკავს. ისიც იცი, რა უნდა უთხრა: „იღიმები არა, აგრა, გოციმციმებს თვალები, დავ, ყოველთვის გიცინოდეს სახე-როგორ ხარ? მე კარგად ვარ, არ დაგავიწყდეს, ხომ შემპირდი მოგწერო“. ფიქრებში წასული უცბად კრეც ნომერს.

— ა, ეს შენ ხარ, გუდა. აგრა შინ არ არის, ჯერ არ მოსულა სამსახურიდან, — გეუბნება დედამისი. შენ დებ ყურმილს, ისევ იღებ ჩემოდანს, საათს დაჰყურებ, გეშინია არ დაგავიანდეს მატარებელზე. ზუსტად ხუთი საათია. პო, ამ დროს ის სამსახურიდან ბრუნდება, იმ ქუჩას სჭრის. პო, ამ დროს ის სამსახურიდან ბრუნდება, იმ ქუჩისაკენ გარბიხარ, გარბიხარ, რათა შემთხვევით შეხვდე და უთხრა.

— გამარჯობა.

და გიპასუხოს:

— ნახვამდის

გვირა დღე



ინათ ჩემთვის არ არსე-
ბობდა კვირაზე უფრო
საყვარელი დღე. ამ

დღეს ვცდილობდი, დავიწყებისათვის მიმეცა მთელი კვი-
რის საზრუნავი და აურზაური. კვირას დილიდანვე ვხდე-
ბოდით აბრაგები. მოვიგდებდით მხრებზე ზურგჩანთებს
და მივაშურებდით მთებს, მუხის ტყეებს. არ ვიცი რატომ,
მაგრამ ძალიან გვიყვარდა მუხის ხეები, ისინი მაღლები და
ძლიერები იყვნენ. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ხეებზე ცოცვა.
კენტეროზე მოვიქცეოდით მაღალ მუხას, საიდანაც შორს.
ძველით მოჩანდა ქალაქი, რომელსაც გამოვიქცით. „აბა
სცადე და მოგვიახლოვდი, ვერა ვერ მოგვწვდება შენი ხე-
ლები!“ — ვხუმრობდით და ვმხიარულობდით. მერე მე
ვიწყებდი დათვივით ბურტყუნს, ის კი გარეული კატასავით
კნაოდა. ბოლოს ეს „ცხოველები“ პოულობდნენ ერთმა-
ნეთს და ბედნიერები იყვნენ. მე ყოველთვის მიკვირდა, რა-
ტომ ვმაღავდით ჩვენს სიყვარულს, რატომ გვინდოდა არა-



ვის შეემჩნია, თითქოს ვინმესთვის მოგვეპაროს. ღმრთოთ
რამდენ სიამოვნებასა და სიხარულს გვანიჭებდა ის ჭარბი და განკუთხული ბი. მაშინ კვირას ორ თანატოლ ნაწილად ცყოფდი: სამი დღე დავდიოდი გასულ კვირა დღეს განცდილი ბედნიერების შთაბეჭდილებებით, ხოლო მომდევნო სამი დღე საამური მოლოდინით, ომზ ჩვენ ისევ შევავდებოდით. მე მჯეროდა, რომ ისიც ჩემსავით მოუთმენლად ელოდა კვირა დღეს. რამდენადაც გვიყვარდა კვირა, იმდენად გვძულდა ქალაქი.

ახლა კი დავდივარ ქალაქის ქუჩებში და ვიგონებ ყოველ წერილმანს. დღეს კვირაა, ამინდიც კარგია მთებში წასასვლელად... დილით დიდხანს ვიყავი ჩაკეტილი ჩემს ოთახში. მარტოდ დარჩენილს მეჩვენებოდა, თითქოს ოთახი თანდათან ვიწროვდებოდა. „ეს იმიტომ, რომ ოთახში ქალაქის ჰაერი შემოიჭრა“, — გავიიქრე და დარაბები დავხურე. მოუსვენრობა დამეუფლა, ავილე წიგნი, მინდოდა წამეკითხა, მაგრამ გული ვერ დაცუდე. თვალები უაზროდ დარბოდნენ სტრიქონებზე, ხელები გვერდებს მექანიკურად ფურცლავდნენ. ბოლოს გონებით აეროდრომზე აღმოვჩნდი. არ ვიცი საიდან მომივიდა აზრად, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ თვითმფრინავი, რომელსაც ფრთები მზის სხივებზე უბრწყინავდა და ბლაგვი „ცხვირი“ ერთავად ძირს ჰქონდა დაშვებული, ისევ იქ იდგა. ფიქრებში წასულს ჩამეძინა. დამესიზმრა თითქოს თვითმფრინავის ილუმინატორის მრგვალ მინაში მოჩანდა მისი გაღიმებული ბაგები, იგი ხელს მიქნევდა, თვალებზე ცრემლები უბრწყინავდა. იქნებ ეს ჩემი ცრემლებია? მეც ხელს ვუქნევდი და ვეუბნებოდი: „სისულელეს ნუ სჩადი-

ხარ, დაბრუნდი, ნუ გაფრინდები-მეთქი.“ ისიც რაღაც / მეუბნებოდა, მაგრამ მისი ხმა ჩემამდე ვერ აღწევთ / მხოლოდ მის მძივივით აკინძულ თეთრ კბილებს ვხედავდა. ვუყურებდი მინას და ვფიქრობდი: „იქ ჩიტი ჩაკეტეს. იგი ლამობს თავის დაღწევას, მაგრამ არ შეუძლია“.

შემდეგ კვირა დღეს ვიყიდე მისი საყვარელი ხილი და წავედი მთებში. დავდექი იმ ბექობზე, სადაც მას უყვარდა დგომა, გადავხედე ქალაქს. მერე მუხის ტოტებს ვეკიდებოდი და დათვივით ვბურტყუნებდი. უცებ ზელში რაღაცა შემომაწვა. მე დავიწყე მისი ლანძღვა. ამან ცოტათი დამამშვიდა. მთელი დღე უაზროდ დავხეტიალებდი ტყეში. რატომღაც მგელივით ყმუილი მომინდა. მე უწინაც მქონია ასეთი სურვილი, მაგრამ ვერეოდი ცოუნებას. ამ საღამოს კი მეგონა, თუ არ ავყმუვლდებოდი, დავიხრჩობოდი. ავდექი და შინ გამოვიქეცი. იმ დღეს დავრწმუნდი, რომ მარტომბაში მყოფი ადამიანი ვერ ამჩნევს ბუნების სიდიადეს. თუ მარტო ხარ, თურმე რად გინდა ეს ტოტებდადრეკილი ხეები, რომლებიც ცას ლამის მიწისთვის მიუკრავს.

კვირა დღეს კვირა დღე მიჰყვა, მე კი შემძულდა ტყი-ტყე სიარული.

დღესაც კვირა დღეა. მზე სხივებადაა ქცეული. თავაწეული დავდივარ ქალაქის ქუჩებში. ბოძზე რეპროდუქტორი ჰკიდია, ხანდახან მუსიკის საამო ხმებიც ისმის. არავინ უსმენს, მაგრამ ის მაინც განაგრძობს თავისას. ვუყურებ ტროტუარის გასწევრივ დარგულ ხეებს. ისინი რკინის ჯოხებით შემოურაგვავთ, თითქოს ეშინიათ ტყეში არ გაგექცნენ. ადამიანთა ამ დაუსრულებელ ნაკადსა და ვიწ-

რო ქუჩებს გავურბოდით, მაგრამ, როცა მარტო დავწინი, /
სწორედ აქ დავუწყე ძებნა. თვალი გადავავლე ხალხურული
ტალღას. თუ პირველად, სრულიად მოულოდნელად აქ
შეეხვდით, რატომ არ შეიძლება ახლაც აქ ვიპოვოთ ერთ-
მანეთი? ამ აზრმა დამავიწყა აეროდრომიც და თვითმფრი-
ნავიც. იმდენად ვიყავი დარწმუნებული აქ ვიპოვი-მეთქი,
რომ მართლა დავუწყე ძებნა. ხალხის ამ ჯგლეთაში ძლივს
მივძვრები. უკან ვიხედები, შეიძლება ჩამომრჩა და ვერ
შევამჩნიე. შევცერი ქალიშვილების სახეებს. ერთი ქალი-
შვილი თვალებით მივამგვანე, მეორე — მოკლედ შეკრეჭი-
ლი თმით. მერე მისი სიარული გამახსენდა. სიბნელეში,
როცა სახეს ვერ ვხედავდი, სიარულით ვცნობდი. ახლაც
თვალწინ მიდგას მისი კენარი ტანი, სიარულის დროს ოდ-
ნავ მოთამაშე მხრები. „ვთქვათ, თვითმფრინავი არ აფრინ-
და ვთქვათ, კიბე ისევ მიდგმულია. ამით რამე შეიცვლე-
ბა? დავშორდებით თუ არა ერთმანეთს, თუ კვლავ შევხ-
ვდით? რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები: შენ ერთ ად-
გილზე ცხოვრობ. მე დღეს მთებში დავცოცავ, ხვალ უდაბ-
ეოს ვეწვევი. ასეთია გეოლოგის ბედი. მე არ შემიძლია
მშვიდი ცხოვრება“. ეს არ გამკვირვებია. ვიციდი, ადრე
თუ გვიან მაინც მეტყოდა. ალბათ სწორედ ასეთი ხასიათის
გამო მიყვარდა. მაგრამ არასოდეს დავფიქრებულვარ, რას
მიქადდა ეს სიტყვები. კიდეც რომ დავფიქრებოდი, რა შე-
მცდლო შემეცვალა? განა ვინმეს, ოდესმე, ვინმე შეყვარე-
ბია ისე. რომ წინასწარ სცოდნოდა მისი ოცნებები და ფიქ-
რები? ან რა სარგებლობას მოგიტანს იმის ცოდნა, რომ
თქვენ განშორება გელით? სულ ერთია მაინც ვერ აიცი-
ლებ განშორების სევდას.

იგი ახლა ზურგჩანთით მხრებზე მიაბიჯებს ყარა-ყუმის
ქვიშიან უდაბნოში. როგორც თვითონ მატყობინებულია ნასკნელ წერილში, მასავით დაუდგრომელი ჭაბუკი... რა
სულელი ვარ!

პირველად მისდამი სიძულვილმა შემიძყრო, მერე იმ
უცნობი ჭაბუკისადმი სიძულვილმა დამარციანა, ყველა
ტკიფილის მიზეზად ის ჩავთვალე. საიდან მომდის ეს აზრე-
ბი დღეს? ყველაფერში ალბათ კვირა დღეა დამნაშავე. გა-
დავწყვიტე და თითქოს დავმშვიდდი კიდეც. ნეტავი მალე
დაღამდებოდეს და გათენდებოდეს, რომ მივუჯდე ჩემს მა-
გიდას. მაგრამ სად არის ღამე? დილიდანვე იმისი ნატრა,
ნეტავი მალე დაღამდებოდესო, იმას ნიშნავს, ინატრო, ნე-
ტავი სულ არ გათენდებოდესო.

არასოდეს არ მღალატობდა ინტუიცია. აი ახლაც ასე
მგონია შევხვდები მას, აუცილებლად შევხვდები. ისევ ვაკ-
ვირდები გამვლელებს. ამაოდ. მერე მანქანების ფანჯრებს
არ ვაცილებ მზერას. რომ იცოდეთ, როგორი კეთილი თვა-
ლებით მიყურებენ მანქანებიდან ან როგორ თბილად მი-
ღიმიან, თითქოს მე მელოდნენ. ზოგიერთები ხელსაც მიქ-
ნევენ... ამ ქვეყანაზე არიან ადამიანები, რომელთაც უნ-
დათ გაღიმება, მაგრამ ეშინიათ, რომ გაუცუდებ ღიმილს
და მიტომაც მაღავენ, — უნებურად გავიფიქრე მე. აი ის
გოგონა, ახლა რომ ჩამიქროლა გვერდით, რა გულთბილად
მიღიმის, თითქოს მეუბნება, რომ ახალგაზრდაა და უხა-
რია სიცოცხლე. მან ერთი შემომხედა, მე წუთით დავიბენა
და ის უკვე თვალს მიეფარა. ასეა ალბათ ბედნიერებაც: გა-
გიელვებს წინ და, ვერც კი შეიტკბობ, ისე გაქრება.



ჩემ წინ ორი ქალიშვილი მიდიოდა. ერთი იყო საქართველოს
ალო სიმაღლის, ოღონდ მსუქანი, მეორე — უფრო მაღალი
და გამხდარი. მას ოდნავ დაქანებული მხრები პქონდა. ჩე-
მი ყურადღება მისმა სიარულმა მიიძყრო. ლამაზ ფეხებს
კი არ გუყურებდი, არა, მხოლოდ — სიარულს. უცებ ჩემს
გონებაში ამოტივტივდა აეროდრომი და თვითმფრინავი.
იგი ისევ დამიდგა თვალწინ და ამჯერადაც ზურგჩანთით.
რაღაც ისევ შემომაწვა ყელში. ჩემდა უნებურად სტვენა
დავიწყე. ალბათ ძალიან ჩქარა მივდიოდი. ქალიშვილები
ჩამომრჩნენ. მე დაველოდე და წინ გავატარე. დიდხანს
მივდიოდით ასე, ხან მე გავუსწრებდი, ხან ისინი. როგორც
კი მაღალ ქალიშვილს მივუახლოვდებოდი, ჩვენს შორის
ხალხის ნაკადი ჩადგებოდა და გვაშორებდა. როცა ერთმა-
ნეთის გვერდით მოგვიხდებოდა სიარული, მე თავს ისე ვი-
შერდი, გეგონებოდათ, დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით.
ამაყად თავაწეული ისეთი სახით მივდიოდი, თითქოს ვამ-
ბობდი: „შემომხედეთ რა ბედნიერი ვარ და გშურდეთ ჩე-
მი“. იყო წუთები, როცა გამოლაპარაკება მინდოდა, მაგ-
რამ მაშინვე თვალწინ დამიდგებოდა ხოლმე ყარა-ყუმის
ქვიშიანი უდაბნო, თითქოს იქ ოდესმე ვყოფილიყავი. აი
ზღვასავით ლივლივებენ ქვიშის ტალღები. ქრის ქარი და
აცხუნებს მზე. მზის სხივებზე ზღვასავით ზოგან ვერცხ-
ლისფრად, ზოგან ოქროსფრად ბრწყინავს ქვიშა. ზურგ-
ჩანთით მხრებზე მიაბიჯებს გოგონა ქვიშნარში. ქარი ძლი-
ერდება: სადაცაა წააქცევს. ამ დროს ჭაბუკმა ხელი შეაშ-
ველა. მე რატომღაც არ გავბრაზებულვარ. თუ მე არა
მყავს ადამიანი, რომელიც ქარისაგან დამიცავდა, დე, ჰყავ-

დეს მას. ისევ დავიწყე სტენა და ვცდილობდითავარან
გამომებერტყა სულელური აზრები.

თავისი გამომებერტყა
გამომებერტყა

რატომ არ უნდა დაველაპარაკო იმას, ვინც გვერდით
მომყვება? ბაგებს კინალამ მოსწყდა სიტყვები, მაგრამ თა-
ვი შევიკავე. თუ ახლა მას დაველაპარაკე, ხალხის ნაკადი
გაგვთიშავს, — გავიფიქრე და უკან მივიხედე. გოგონები
უკვე აღარ ჩანდნენ. მე დიდ ვიტრინასთან შევჩერდი და
თოჯინების თვალიერება დავიწყე. მომეჩვენა თითქოს ისი-
ნი მუდარით მიყურებდნენ და მეუბნებოდნენ, წაგვიყვანე
მაღაზიიდან. მართლაც, არ იქნებოდა ურიგო, მეყიდა
ჩემთვის თოჯინა. დავსვამდი მაგიდაზე და დავემშვიდობე-
ბოდი სამსახურში წასვლისას, ხოლო შინ დაბრუნებულს
ის მაინც შემომეგებებოდა.

ამ დროს ქალიშვილებმა ჩამიარეს. უკან გავყიდი. მივ-
ყვებოდი და მეშინოდა, რომ დავწეოდი. არა მაინც რატომ
უნდა გამოველაპარაკო? ამ ბოლო ხანს საკმარისია ვინმეს
დავუახლოვდე, რომ მაშინვე ვკარგავ. ისევ დამეუფლა
სტენის სურვილი. მივდივარ სტენით და უპატრონო ძალ-
ლივით შეცემერი ვიტრინებს. თითქოს სარკეში ვხედავ
ჩემს თავს. თვალები უაზრო და სევდიანი მაქვს, როგორც
გული. ისევ შემჭამა დარდმა. თვალში მომხვდა ტროტუ-
არზე მდგარი მაგიდა, რომელზედაც წიგნები ეწყო. მაგი-
დის მიღმა იდგა წაბლისფერთმიანი ქალიშვილი, მე ნაღ-
ვლიანად შევავლე თვალი, თითქოს ვეუბნებოდი: „შენ
ივაჭრე როგორც ვაჭრობდი, მე არაფერს დაგიშავებ, მაგ-
რამ უნდა გელაპარაკო... გამიგე, ძალზე მენატრება ადამი-
ანები“. აი ახლა, ავიღებ წიგნს და დაველაპარაკები. მე
წიგნის ფურცელა დავიწყე.

— მანეთი და ოცი კაპიკი ღირს. ჯაშუშების ცხოვრების ბაზეა, კარგი წიგნია, — მითხვა მან.

— თქვენ ამბობთ მანეთი და ოცი კაპიკიო?

— დიახ!

— ჯაშუშებზეა დაწერილი არა?

— დიახ!

— მაშ, აქ სულ ჯაშუშები არიან?

— ახალგაზრდავ, მე თქვენთან სალაპარაკოდ არა მცა-ლია. თუ საქმე არაფერი გაქვთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ, გზა დიდია.

მაგიდას მოვშორდი, რამდენიმე ნაბიჯი გავიარე, მივ-ბრუნდი და გამყიდველ ქალიშვილს შევხედე. „მაშ მანეთი და ოცი კაპიკი ღირს? ჯაშუშების შესახებაა?“ მე გზა გან-ვაკრძე. სტენა-სტენით მივყვები ქუჩას. გამვლელები გაკვირვებით მიყურებენ.

როგორ თქვა გამყიდველმა? „თქვენთან სალაპარაკოდ არა მცალიაო?“ საოცრადაა მოწყობილი ეს ქვეყანა. ზოგს დრო არა აქვს ვინმეს დაელაპარაკოს. ზოგს კი ხმის გამ-ცემი არავინა ჰყავს. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. ვერ შევძელი ხეირიანად გამოვლაპარაკებოდი. მანეთი და ოცი კაპიკი, ჯაშუშები... დასწყიდვლოს ეშმაკმა! მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის. ვერ შევძელი დამემატებინა თუნდაც ერთი თბილი სიტყვა. შე-იძლება დამავიწყდა კიდეც, როგორ უნდა ველაპარაკო ხალხს. რა სულელი ვარ! გოგონას ხომ არ უთქვამს, რომ არ სურს ლაპარაკი, უბრალოდ, დრო არ ჰქონდა. ადრე როგორ ვერ მიგხვდი. უკან დავბრუნდი.

მაგიდასთან ახალგაზრდა ვაჟი შევამჩნიე. წიგნებს ზე-

დაც არ უყურებდა. ქალიშვილი რაღაცას უამბობდა ცალკეული
ცილ-კისკისით. ისევ წამომიარა სტვენის ჟინმა. გიგანტის

ჩემ გვერდით მთელი სისწრაფით მიპერიან მანქანები.
უცბად ვიღაცის ღიმილმა გაიელვა. ისევ დამიდგა თვალ-
წინ თვითმფრინავის ვერცხლისფრად მოელვარე ფრთები.
მას კიბე მოაშორეს.

ძლიერი ქარისაგან აღიმართა ქვიშის სვეტი. ქარი გუ-
ლისგამაწვრილებლად ზუზუნებს. ნელ-ნელა ყველაფერი
მშვიდდება. მე მეზმანება უკაცრიელი და უკიდეგანო ქვი-
შის უდაბნო.

არა, აუცილებლად უნდა ვიყიდო თოჯინა.

ზ ღ ვ ა

ენდებოდა.

ზღვა ისე წყნარი იყო,
გეგონებოდა, ვინმეს

მკლავებზე გაუწენია და მის ტკბილ ნანავში მშვიდად თვლემსო. მქრქალ ზღვაზე განთიადი მოცურავდა. მაღლა კი სასიძოებივით წამოჭიმულიყვნენ მწვანე ნაბადმოსხმული მთები. ეჰ, ვინ იცის, რამდენი ღამე გაუთევიათ და რამდენ განთიადს შეგებებიან ერთად ეს მთები და ეს ზღვა?! ვინ იცის, რამდენი ღამე, მათ თვალწინ დაპერებული ღამე, გაუცილებიათ წუხანდელივით, მაგრამ შეხედავ და ეს მთებიცა და ეს ზღვაც ამ ახალშობილი განთიადივით ქორფა გეგონება.

ამ დილით ზღვის ნაპირას კაცის ჭაჭანება არ იყო, დღეს არც ერთ სულიერს თვალი არ შეევლო მისთვის.

უცებ ვიღაცამ ისკუპა კენჭებზე. ჯიხვი იყო! შიშით მიმიხედა ირგვლივ. მერჩე ზღვასთან მივიდა, მარილიანი წყალი მოსვა, ჩაიფრუტუნა, დრუნჩი ასწია, გრძელი კისე-



რი კიდევ უფრო წაიგრძელა და ზღვის სივრცეს მოავლო. რაკი საშიში ვერაფერი შენიშნა, წყალში შევიდა და ზურგი ამომავალი მზის სხივებს მიუშვირა.

უცებ ჯიხვი შეკრთა. დამფრთხალმა მიმოიხდა. ნეტა რა მოხდა?! შორს სილუეტი გამოჩნდა. ნადირი თვალის დახამხამებაში მთებს მიეფარა. კაცმა თვალი შეასწრო, ჯიხვი რომ ზღვის წყალსა სვამდა.

მოხუც კაცს მხარზე ხაოიანი პირსახოცი გადაეგდო და ნელა მოაბიჯებდა ზღვის კენჭებზე, ოდნავ რომ ხრაშუნებდნენ მის ფეხქვეშ. ჭალარა თმას დილის ნიავი უჩეჩავდა, სწორედ ამ ზღვასავით მშვიდი თვალები ჰქონდა. ჩასკვნილი, ჯმუხი მოხუცი იყო.

კაცი დაჯდა ნაპირთან და ალერსიანი თვალებით გახედა ზღვას. ჭაბუკობიდანვე რომ დაუმეგობრდა და ახლა უნდა განშორებოდა, თანაც, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც.

ჩაფიქრებულ კაცს არც კი შეუმჩნევია, როგორ აივსო ზღვის ნაპირი ხალხით. დიდ-პატარა ტანთ იხდიდა და წყალში შედიოდა. წყალს მანამდე თითქოს აკვანში ეძინა, ახლა კი გამოფხიზლებულმა მიატოვა თავისი სამყოფელი და მოწყდა ადგილიდან, პატარა ტალღები ნაპირზე აცოცდნენ. პატორი არ იძროდა. ნიავიც ისე ჩადგა, თხის წვერსაც გერ ააცანცარებდა. ზღვა იმიტომ ღელავდა, ადამიანები რომ ეხებოდნენ. ამბობენ, თუ ადამიანი ხელს არ ახლებს, ზღვა მუდამ მშვიდად იქნებაო. მაგრამ ერთი კენჭიც რომ ესროლოს კაცმა ან წყალში ფეხი შედგას — ზღვა მაშინვე აღელდება და ტალღებიც აზვირთდებიან. არავინ იცის, მართალი უთქვაშს თუ ტყუილი ამის მთქმელს, მაგრამ რო-

გორც ჩანს, ადამიანს, რომელმაც პირველად შეადარა ზღვაში და სიცოცხლე ერთმანეთს, სჯეროდა თავისი ნათქვამიშვ.

მოხუცს შეშურდა ზღვაში მობანავე ახალგაზრდებისა, წამოდგა და ტანთ გაიხადა. წყალში რომ შედგა ფეხი, მთიელთა ჩვეულებისამებრ, რაკი მათი ეს ჩვეულება ძალზე მოსწონდა, ხელები დაისველა და სველი ხელისგულება მუხლებზე და სახეზე მოისვა. მერე ზღვის ზედაპირს, ძველი ცხენოსანი ჯიშიან ცხენს რომ მოეალერსება ხოლმე, ისე გადაუსვა ხელი და ტალღებში გადაეშვა. ზურგზე გაწოლილი იწვა წყალში, ხელები თავქვეშ ამოედო და ზღვა თითქოს მკლავებით არწევდა. ეტყობოდა, გამოცდილი მოცურავე იყო. ნაპირისაკენ რომ გაიხედა, დაინახა, ახოვანი ჭაბუკი ზღვისაკენ მოეშურებოდა. ამ მხარბეჭიანმა ჭაბუკმა, წვრილი გამონაკვთული წელი რომ პქონდა, ბევრჯერ მიიძყრო მოხუცის ყურადღება. ეს ჭაბუკი მუდამ ზღვის ნაშირთან მიდიოდა ხოლმე, იდგა ყელმოლერებული და თავის მეგობრებს გასცემროდა. ის რომ ზღვაში შევიდოდა, ნაპირთან მობანავე ყმაწვილები და ქალიშვილები წიოკობით აწყდებოდნენ აქეთ-იქით: „ახლა კი, იცოცხლე, გვაყლაპინებს წყალს!“. ის კი გულკეთილად იღიმებოდა და მშვიდად შედიოდა ზღვაში. ახლაც ასე მოხდა. როგორც კი ჭაბუკი ზღვის ნაპირზე გამოჩნდა, მაშინვე მეგობრები შემოეხვივნენ და გაჩაღდა მასლაათი. ჭაბუკი იცინოდა და ქაფივით ქათქათა კბილები უბრწყინავდა, თან ზღვას გასცემროდა. უცებ მარტოკა მოცურავე მოხუცი შენიშნა. მოხუცისა და ახალგაზრდის თვალები ერთმანეთს შეხვდა. მზერა შეაჩერეს, თითქოს რაღაც უნდა ეთქვათ ერთურიაისათვის. „მე მგონია, ჭაბუკო, შენ ჯერ მამაცი კაცი არ


შეგხვედრია". — გაიფიქრა მოხუცმა. „ასე მოხუცი რომ
არ იყო, ზღვაში შევეჯიბრებოდით ერთმანეთს“ ზაჟდეოსტლე
ამბობდა ჭაბუკის არწივისებური გამოხედვა.

ნაპირზე ტევა აღარ იყო. უზარმაზარი, გავარვარებუ-
ლი მზე სულ მაღლა-მაღლა იწევდა და მოებს უკან იტო-
ვებდა. ჭაბუკმა მზის სხივებით გაიფიცხა მხარ-ბეჭი და მე-
რე ზღვაში შევიდა. მოხუცი კი კვლავ თავქვეშ ხელებამო-
დებული იწვა წყალში, მხოლოდ ფეხების ქნევით თანდა-
თან შორდებოდა ნაპირს.

ჭაბუკმა კარგა მანძილზე რომ გასცურა ნაპირიდან, მე-
გობრებიც უკან მიჰყვნენ. ყმაწვილები ხან წყალს აშხეფებ-
დნენ ერთმანეთს, ხან კი იხვივით ჩაყვინთულები მიცურავ-
დნენ.

ნაპირზე მსხდომთავან ზოგს უკვე ორჯერ-სამჯერ მო-
ესწრო მზეზე გაფიცხება და წყალში ამოვლება. ჭაბუკა
კი თავის მეგობრებიანად გატაცებით მიცურავდა შუა
ზღვისაკენ. ზღვა უკვე ოდნავ ღელავდა. ისე შორს გასცუ-
რეს ახალგაზრდებმა. ნაპირიდან მათი თავები მუჭისტო-
ლადღა მოჩანდა. ნაპირზე დარჩენილი მეგობრები სულაც
არ ღელავდნენ. თუმცა ამაზე კრინტიც არავის დაუძრავს,
ვინ იცის, რამდენჯერ აკვიატებიათ აზრი, ნეტა თუ გაასწ-
რებს ვინმეო? თავს არ უტყდებოდნენ, მაგრამ, როცა ამ ჭა-
ბუკთან ერთად მიცურავდნენ, ყოველი მათგანი გულში ოც-
ნებოდდა, ნეტა ერთხელ მაინც ვაჯობებდეთ და ქანცს გა-
ვუწყვეტდეთო. მაგრამ არაქათგამოცლილები მუდამ თა-
ვად ბრუნდებოდნენ. ჭაბუკი კი, ნაპირს რომ მოაღწევდა.
უკანასკნელად ერთხელ კიდევ ჩაყვინთავდა ხოლმე, თით-
ქოს ცურვით გული ვერ იჯერაო.

ზღვა მუდამ შორს იტყუებს კაცს. სულაც რომ არ გაძხე/ ძრიო ხელ-ფეხი და შენთვის იწვევ ზღვის ზედაპირზე/ სიღრმისაკენ დაგიწყებს წათრევას. ცხოვრება კი ულ/ სხვანაირადაა მოწყობილი. წუთით რომ მოსწყდე ცხოვ- რებას, იმ წუთშივე გაგრიყავს, უფესვო ნერგივით არ გა- გახარებს, თავაწყვეტილი ცხენივით მქროლავი ცხოვრება კი წინ გაჭენდება.

მზე ცაზე, იმ ცაზე, მხოლოდ მას რომ ეკუთვნის, სა- შუადღეომდე ავიდა. პლაზზე დილით მოსულები უკვე შინ წავიდნენ სასადილოდ. რამდენიმე ახალგაზრდა, ნაპირზე რომ დარჩენილიყო, შორს მოცურავე ამხანაგებს უყვირო- და და უსტევნდა.

— გეყოფათ ამდენი ცურვა.

— დავბრუნდეთ. ძალიან შორს გავცურეთ, — ერთმა- ნეთს გასძახოდნენ მოცურავენი.

— მერე ის? რატომ არ ბრუნდება უკან? — ანიშნებ- დნენ ჭაბუკზე. ჭაბუკს კი თავქვეშ ამოედო ხელები და მათ- გან მოშორებით მშვიდად მიცურავდა. ამხანაგებმა იცოდ- ნენ მისი ხასიათი: თუკი დარწმუნდებოდა, რომ ყველა ნა- პირზე დაბრუნდა და უკან აღარავინ მისდევდა ცურვით, უმაღ იბრუნებდა პირს ნაპირისაკენ. ახლა დარწმუნებული უმაღ იბრუნებდა შემოტრიალებულიყო, რომ უცებ დაინახა: მის საკენ უნდა შემოტრიალებულიყო, რომ უცებ დაინახა: მის წინ მასავით მშვიდად, თავქვეშ ხელებამოდებული მიცუ- რავდა მოხუცი. ჭაბუკმა თვალებს არ დაუჯერა და ხელით მოიფრინიტა, მერე ისევ გაიხედა მოხუცისაკენ. მოხუცისა და ახალგაზრდის თვალები ერთმანეთს შეხვდა. „ძალიან



შორს გაგიცურავს. ცოტას მოვიცდი და, თუ ძალაშ გიმტურული
ნა, მოგეშველები", — გაიფიქრა ჭაბუკმა. „აი, თქვე ერთა-
გებო! მეშინოდა, ხიფათს არ გადაყროდით და შორიდან
სულ თვალს გადევნებდით", — ამბობდა მოხუცის გამო-
ხედვა. მაგრამ ამას თვალები ამბობდნენ, მოხუცის სულში
კი სულ სხვა რამ ხდებოდა. ეს აზრი ჯერ კიდევ ნაპირზე
აეკვიატა მოხუცსაც და ახალგაზრდასაც, მაგრამ ამაში
თვალებითაც არ გამოუტყდებოდნენ ერთმანეთს. ერთი
იმიტომ, რომ მოხუცი იყო, მეორე კი იმიტომ, რომ ახალ-
გაზრდა იყო.

რაც არ უნდა თქვას კაცმა, ზღვა მაინც ზღვაა! ჭაბუკმა
რამდენჯერმე მოიქნია ყარყატის ფრთებივით გრძელი
შელავები და მხარი გაუსწორა მოხუცს, მაგრამ თითქოს
ორივეს მოერიდა თვალებში შეეხდათ ერთურთისათვის,
ორთავემ ცის სხვადასხვა კიდეს გააყოლა თვალი. მზე გა-
დახრილიყო და ისე ძალიან აღარ აცხუნებდა. მოხუცმა
და ახალგაზრდამ ცოტა ხანს იცურეს გვერდი-გვერდ და
მერე მცირე მანძილით დაშორდნენ. ზღვა უფრო და უფრო
იტყუებდა მათ. მოხუცმა პორიზონტს გახედა... მწყემსის
ეუდივით პატარა საწვიმარი შავი ღრუბელი ამოსრიალდა
ზღვიდან და ცაზე გაცურდა. ჭაბუკი მთებს გასცემოდა.
თეთრყაბალახწაკრულ მთებს შორის თეთრი ღრუბელი
დარიალებდა, თითქოს არ იცოდა, სად შეეფარებინა თავი.
ქარმა დასავლეთიდან ღრუბელი მორეკა და მზეს ჩამოა-
ფარა. ზღვაზე ცივმა ქარმა დაუბერა. ჭაბუკს არც შეუმჩ-
ნებია, მზე რომ ღრუბელმა დაფარა, თვალდახუჭული იწვა
წყალში და ფიქრობდა ნაპირზე დაბრუნებულ მევობრებ-
ზე, არც იმის ფიქრი შორდებოდა, რომ ისა და მოხუცი



ძალიან დაშორდნენ ნაპირს: „შორს გაცურვა ადვილია,
უკან დაბრუნება თქვი თორემ“... ისიც კი მოეჩვენა, შენიშვნები
ქსო კუნთები მოუდუნდა. ვაითუ ძალამ უმტყუნოს... დროა
უკან... არა! „რატომ მაინცდამაინც მე უნდა დაგბრუნდე
პირველად? ხომ დამცინებენ“... უცებ ტალღა მოხვდა სა-
ხეში და ფიქრები გაუფანტა. ჭაბუკმა ერთი კიდევ გაიქნია
ხელები და მოხუცს გახედა. უკვე დაღლილობას გრძნობდა.
მოხუცი კი, თითქოს ეს-ეს არის შევიდა წყალშიო, სავსე-
შიოთ მშევიდად მიცურავდა. ჭაბუკი თვალს არ აშორებდა და
გრძნობდა: „განვაგრძო გზა თუ... დავბრუნდე ნა-
თან ყოყმანობდა: „განვაგრძო გზა თუ... დავბრუნდე ნა-
პირზე? არა!“ მერე, ხელები რომ შეესვენებინა, ზურგზე
გაწვა, ფეხები აამოძრავა და მოხუცს დაედევნა. მოხუცი
თვალს არ აცილებდა შავ ღრუბელს. შავი ღრუბელი ახლა
მარტო მზეს კი არა, თეთრ ღრუბლებსაც გადაფარებოდა.
თეთრი და შავი ღრუბელი ხან შეერთდებოდნენ, ხან გაიყ-
რებოდნენ. „ღმერთო ჩემო, ნუთუ ამოდენა ცას ვერ გაი-
ყოფენ?“ — გაიფიქრა მოხუცმა. ღრუბლები ერთმანეთს
მისდევდნენ ამ უკიდეგანო ცაზე, ასე მივიღენ მთებამდე:
და მერე მიეფარნენ კიდეც თვალს. მოხუცს მოაგონდა ჯი-
და თვალით რომ თვალი მოჰკრა. ისიც ხომ მთებს მიე-
ხვი, ამ დილით რომ თვალი მოჰკრა. „ ისიც ხომ მთებს მიე-
ხვი, ამ დილით რომ თვალი მოჰკრა. ისიც ხომ მთებს მიე-
ხვი, ამ დილით რომ თვალი მოჰკრა.“ წყალში
ფარა. „ჯიხვი ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩადის წყალში
და, თუ ვინმემ არ დააფრთხო, ვერ გაძლება წყლით. რაც
უფრო მეტს დალევს, უფრო მოსწყურდება და მანამდე ვერ
მოიკლავს წყურვილს, სანამ არ მოკვდება“, — მოაგონდა
მოხუცს ვიღაცის ნათქვამი. ამ მოგონებას მეორე მოგონე-
ბაც მოჰკვა, სწორედ ისევე, როგორც ტალღა მისდევს
ხოლმე ტალღას. მოაგონდა თავისი ახალგაზრდობა... მე-
გობარი მეზღვაურები... გემი... ერთ მშვენიერ დღეს, ნია-

ვიც რომ არ არხევდა ჰაერს, ყირიმის რომელიღაც ნავსადა-
გურიდან მათი გემი ზღვაში გავიდა. გეზი საბერზე ფილის სახა-
კენ აიღეს. უკვე ორი დღე და ღამე იყო, მიცურავდნენ. მთი-
ელი მეგობარი უყვებოდა, ზღვაში დაღუპვისაგან ადამია-
ნებს კი არა, ცხოველებსაც ვიხსნით ხოლმეო. მესამე ღამეს
ქარიშხალი ამოვარდა. ტალღები ტკივილებისაგან გამწა-
რებული დაჭრილი დათვივით ღრიალით ეხეთქებოდნენ
გემბანს და გემს ნაფოტივით ისროდნენ აქეთ-იქით. მამაკა-
ცები განთიადამდე ებრძოდნენ სტიქიას. მოხუცი და ახალ-
გაზრდა ერთმანეთს ამოუდგნენ მხარში და გაიმარჯვეს. ამ
ბრძოლაში ზღვა დამარცხდა და თითქოს დამარცხებამ და-
ამშვიდა კიდეც.

გამოქანებული ტალღა სახეში მოხუცს და ფი-
ქრებიდან გამოარკვია. დამძიმებული ხელები მოიქნია და
გაცურდა. „ნეტა რამ მომაგონა ახლა ეს ამბავი? ნუთუ
თავს ვიმხნევებ?“ მოხუცმა თავი ასწია და თვალით ჭაბუ-
კი მონახა. „უნდა გამოვეხმაურო“... მერე ნაპირისაკენ გა-
იხედა, მთების მეტი ვერა დაინახა რა. „ნეტა ამ ღლაპს
რაღად ავყივი?..“ კვლავ გაიხედა ჭაბუკისაკენ. მათი თვა-
ლები ისევ შეხვდა ერთმანეთს. „ნეტა რად ავყივი ამ მო-
ხუცს?“ — გაიფიქრა ჭაბუკმა. მაგრამ თქმით კვლავ არა
უთქვამთ რა ერთმანეთისათვის. „არა, — ეუბნებოდა თავის
თავს მოხუცი. — მოყვება მერე ტრაბახს, ასეთი და ასეთი
მხარ-ბეჭის პატრონი ვარო... მე ვუჩვენებ მაგას მოხუცი
მეზღვაურის ძალას! ნეტა რომელი საათია? მატარებელზე
არ დამავიანდეს. დღეს რომ არ გავემგზავრო შინ, ჩვე-
ნებს შეეშინდებათ, დეპეშა ხომ გავაგზავნე უკვე“. თვალ-
წინ წარმოუდგა ნევის ნაპირას მდგარი თავისი სახლი, ვა-



ჟიშვილი, რძალი, პატარა შვილიშვილი. აი გადმოდის თვითი ცეკვაზე რან მატარებლიდან, ხელში ყვავილების თაიგული უფრავოთავა რავს. „ეს ყვავილები აფხაზეთიდან ჩამოგიტანე“, — ეუბნება რძალს და თაიგულს აძლევს. პატარა შვილიშვილი დედას აღარ უდგება ხელში, „ბაბუ, ბაბუო!“ — ეკვრის ბაბუას. ბაბუაც გულში იკრავს ბავშვს. უზარმაზარმა ტალღამ თავზე გადაუარა მოხუცს. ხელ-ფეხი მოუდუნდა.

ჭაბუკიც მოგონებებში იყო ჩაფლული. სწორედ წუხელ, შეყვარებულს უთხრა:

— ხომ იცი, მე...

— იყუჩე, ნუ იტყვი! სიტყვები არაა საჭირო...

ტალღამ სახეზე გადაუარა, ძლივს მოითქვა სული. თვალებიდან წყლის წვეთები ცრემლებივით მოიწმინდა და მოხუცს გახედა. მოხუცი ხან სანაპიროს მისჩერებოდა და ხან შუა ზღვას. ტალღები თითქოს გაგულისებულიყვნენ, ყალყზე დგებოდნენ და თითქოს მოხუცისა და ჭაბუკის ძალას ცდიანო, ერთმანეთს რომ მიაწყდებოდნენ, მერე კვლავ მათ ეხლებოდნენ.

ზღვა შეურაცხყოფილი, გაცეცხლებული მამაკაცივით ღელავდა.

მოხუცმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, თავი წამოსწია და თვალებით მოძებნა ჭაბუკი. უნდოდა დაეყვირა მისთვის სადა ხარო? — მაგრამ ტალღამ გადაუარა და ხმა ჩაუწყვიტა. სული რომ მოითქვა, კვლავ წამოსწია თავი, რაც შეეძლო გააღო პირი, უნდოდა დაეძახა: „კარგი, რაკი ასეა, შენ მაინც...“ მაგრამ გვიანდა იყო. მოხუცს ტალღები სათამაშოსავით ახტუნებდნენ თავიანთ ნებაზე. ზღვა თითქოს სულის სიღრმემდე შეურაცხყო ვინმემო, ღუღდა და

გადმოდიოდა. „წიუ-წიუ“, — დასწიოდა ზღვას თოლია. /
მოხუცს ნაპირისაკენ ებრუნებინა პირი და მრავალი და
და. ხელ-ფეხში მთლად ელეოდა ძალა. თურმე ახალგაზრ-
დობას თან წაეღო მისი ღონე. თოლიაზე იტყვიან ხოლმე,
მომაკვდავი მეზღვაურის სულიაო. უკან მობრუნებულმა
თოლიამ მოხუცს თვალი ვეღარ მოჰკრა.

ჭაბუკს თვალთ უბნელდებოდა, უკანასკნელ ღონეს იკ-
რებდა, ტალღებს ებრძოდა და ნაპირისაკენ მიცურავდა.
იმედი ჰქონდა, კიდევ შემრჩენია იმდენი ძალ-ღონე, რო-
გორმე მივაღწიო ნაპირამდეო...

ქარი ღმუოდა და იგრიხებოდა, ტალღებს ერთმანეთს
ახეთქებდა და ამსხვრევდა. ზღვას ქათქათა კბილები დაე-
კრიჭა და ხვნეშოდა. თეთრი თოლია წივილით დასტრია-
ლებდა თავს.

୩୧୯ ୬୦ ୩୦

ଗଣ୍ଡବଳାନି

ତାରଗମନା ୬. ଗନ୍ଧ ଗନ୍ଧ ଦ୍ଵୀପ ୫

ସିଦ୍ଧାନ୍ତକଲ୍ୟାଙ୍କ ଦ୍ଵୀପଭାବି

ତାରଗମନା ୩. ଆଶା ତରାନଥ ଦ୍ଵୀପ ୨୨

ଗାମାରକଣବା-ନାଶବାଦିକ

ତାରଗମନା ୩. ଗନ୍ଧ ଗନ୍ଧ ଦ୍ଵୀପ ୩୨

କ୍ଷେତ୍ରର ଅଳ୍ପ

ତାରଗମନା ୫. ରାଜ୍ଯ ବିଭାଗ ୪୫

ଶଲ୍ପା

ତାରଗମନା ୬. ଲାଲା ଲାଲା ଦ୍ଵୀପ ବିଭାଗ ୬୫

Ахуба Джума Виссарионович
Т у г а н
 (На грузинском языке)
 Детюниздат Грузинской ССР
 «Накадули»
 Тбилиси, 1968

*
 რედაქტორი ჭ. ბაგელიძე
 მხატვრები: ო. ჭიშკარიანი, დ. ღუნდუა
 მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
 ტექნიკაზე დ. ქვარცხავა
 კორექტორი ი. უშვილიძე

*
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/V-68 წ.
 ქაღალდის ზომა 70×108^{1/32}
 ნაბეჭდი თაბაზი 2
 სააღრიცხვო-სავამომცემლო თაბაზი 2,42
 უე 00280, ტირაჟი 5.000 შეკვ. 1929
 ფასი 18 კაპ.

*
 გამომც. „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ., 5
 Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭ-
 დვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთა-
 ვარბოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2.
 Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Со-
 вета Министров Грузинской ССР по печа-
 ти, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

